პერინის სტუდიაში საოცარი სისწრაფით დაწინაურდა ვ. ჭაბუკიანი. დანარჩენ მისწავლეთა უმრავლესობამ ხელოვნების სხვა დარგი აირჩია. ვინც დარჩა, ის გახდა ბირთვი ქართული საბალეტო დასისა, რომელსაც შემდეგ ვ. ჭაბუკიანი ჩაუდგა სათავეში.

1924 წელს ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკმა ვ. ჭაბუკიანმა საკონცერტო ბრიგადა ჩამოაყალიბა, სადაც უმთავრესად უფროსი მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. ამ კონცერტში ერთ-ერთ საინტერესო ნომრად შეტანილი იყო „ავოტო“ პატარა სიმას შესრულებით. ვ. ჭაბუკიანის თაბურღაშხვევი ცეკვის შემდეგ ყველას ყურადღებას იპყრობდა პატარა „სიმორქვა“, ერთ-ერთ გამოსაშვებ საღამო-კონცერტისათვის მარია პერინმა მოამზადა ნაწყვეტი ბალეტ „ოქროს თევზიდან“. ამ ბალეტში მთავარ პარტიას ცეკვავდა ირა ალექსიძე; პატარა სიმამ კი თავის თანატოლ პარტნიორთან მარკიზას როლს ასრულებდა.

მოცეკვავებ აქაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მდიდრული კოსტუმით, გააუღრული პარიკით და მარაბით ხელში ცოცხალ დედოფალსავით გამოიყურებოდა, ეს დღე სიმასათვის ტრიუმფალური დღე იყო. რეკისორმა წუწუნავამ სცენაზე წითელი ყვავილებით სავსე კალათა გაუჭაგუნა, ცქრიალა გოგონამ მომხიბვლელი რვეერანსით მაღლობა გადაუხადა, რითაც საბოლოოდ დაამყარო თავისი „თაყვანისმცემლის“ გული.

სიმას დიდ წარმატებას უცმაყოფილოდ ხვდებოდა მისი მამა ვიორჯი დიმიტრის ძე ვეკუა. მას არ მოსწონდა გოგონას ხელოვნებით გატაცება. ოჯახში ამ საკითხზე დიდი ბრძოლა იყო. თვითონ სიმას კი უბალეტოდ სიცოცხლე აღარ შეეძლო. მამის გულის მოსაგებად ბალეტის პარალელურად ბუჯითად სწავლობდა მე-მ შორის სკოლაში. 1930 წელს მშობლებისგან დაფარულად სიმამ თეატრში ბალეტმეისტერ კანანოვიჩთან გამოცხადდა. მოეწყო გასინჯვა და სიმამ სტაჟიორთა ჯგუფში ჩაირიცხეს.

ძველი სისტემის თანახმად, მოცეკვევებს რეპეტიციები არ ჰქონდათ. თავიანთი სურვილით სწავლობდნენ სასურველ პარტიას, უჩვენებდნენ ბალეტმეისტერს და მისი თანხმობით გამოდიოდნენ ამა თუ იმ საბალეტო სპექტაკლში. ამგვარად, სტაჟიორებს, თუ კი მოისურვებდნენ და დასძლევდნენ რომელიმე პარტიას, შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ როგორც კორდებულტში, ასევე სოლო პარტიებში. სიმამ ვეკუას ხშირად შეუცვლია სოლო პარტიების შემსრულებელი ბალერინები, რომლებსაც რაიმე შემთხვევის გამო არ შეეძლოთ ცეკვა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვეკუა სამანქანო-სავაზო ტექნიკუმში შედის. ამიტომ თეატრში სისტემატურ სიარულს უკლო. უამრავი დაგვიანების გამო იგი ბალეტმეისტერმა იორგმა გამოიძახა და უთხრა: „ქმარა, უნდა შეწყვეტ დაგვიანება. ან თეატრი ან ტექნიკუმი“. სიმამ თეატრიდან მოუწყვეტლად მაინც დაამთავრა ტექნიკუმი, მაგრამ მშობლების კატეგორიული მოთხოვნით, სამი თვით მაინც მოწყდა სცენას და სავალდებულო პრაქტიკის მისაღებად გზის მშენებლობაზე ფასანაურში გამეჭაგვრა. თეატრის ბრწყინვალე ჭაიი შესცვალა მთის კრიალა ცამ. აფერადებულ დეკორაციები და მოვარაყებულ რეკვიზიტ—ნიჩბებმა და წერაქმებმა, ზღაპრული სახეები—სინაღდელიშ. პრაქტიკის მიღების შემდეგ ვეკუა სამუშაოდ აზერბაიჯანის ერთ-ერთ რაიონში გაანაწილეს. სამსახურში გამოცხადების მაგიერ იგი ბაქოში გამეჭაგვრა და გულისფანცქალით შეაღო თეატრის კარები.

ბაქოში სიმამ ვეკუა ავიდ გახდა და ნახევარი წლის შემდეგ ისევ თბილისში ჩამოვიდა. თბილისში თეატრის პარალელურად გატაცებით მეცადინეობდა ფარკაოპის წრეში, გოგონას ბედმა გაუღიმა. საქალაქო შეჯიბრში პირველი ავგილის მოპოვებისათვის რესპუბლიკურ შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად ლენინგრადში გაგზავნეს. პირველი ფიქრი, რომელიც თავს დასტრიალებდა ვეკუას, ეს იყო ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მისვლა და მისაღები გამოცდების პირობების გაგება. გამოცდები აგვისტოში უნდა ჩატარებულიყო. რესპუბლი-



ქურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სიმამ თბილისში დაბრუნებისთანავე თადარიგს შეუდგა.

მოახლოვდა გამოცდები, მაგრამ ლენინგრადში წასვლაზე მშობლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. მაშინ გოგონამ საქართველოს კულტურის სამინისტროდან მშობლებსაგან დასტურის ვარემ აიღო მიმართვა და ლენინგრადში გაიპარა.

სადგურიდან პირდაპირ საბალეტო სკოლაში მივიდა. საპუთები შეიტანა და გულის კანკალით დარბაზს მიაშურა, სადაც მისი მონაცემები უნდა შეემოწმებინათ. კომისიაში შედიოდნენ: მარი რომანოვა, ბორის შვაროვი, კაკანოვა, ალექსანდრე ივანენი ძე ბუშკინი და სხვები.

გამოცდაზე სიმამ შესანიშნავად უჩვენა თავი. ყველა გააკვირვა მისმა მაღალმა ხტომამ (თუმცა ნაბიჯი დაუწუნეს). მუსიკალობამ, მოძრაობის სიზრბილემ (პერინის სკოლისათვის დამახასიათებელი სწორედ დიდი მუსიკალობა და ემოციურობა იყო).

გამოცდის დასასრულს სიმამ შვაროვი შეეკითხა — შევიძლიათ თითის წვერებზე ცეკვა? — შემოძლია — საქაროდ მიუგო გოგონამ, მაგრამ იგი აგრანფინა იაკოვლევიწამ შეაჩერა, თითისწვერებზე ცეკვისათვის ასეთი რბილი მესტები არ გამოდგება, საჭიროა პუნტები. — ახლავე მოვიტან, გარდერობში დამირჩა — იცრუა გოგონამ და სახელაწილი დერეფანში გამოვარდა. — მიშველეთ, პუნტები მათხოვეთ! — ვედრებით მივარდა იგი გოგონებს, მაგრამ მისი ფეხის სარკო პუნტები არავის აღმოაჩნდა. სიმამ საქაროდ გახეთი ორად გაბია, დაკეცა და ჩუსტების ცხვირებში ჩასტენა. შევიდა დარბაზში და მაშინვე დაიწყო ცეკვა რომ არავის არ შეეჩერებინა — მე ყველაფერი ვიცი, აი გენებათ, პადედეს ვიცეკვებ, გენებათ ტურს გაუკეთებ. ფუტეტე შემოძლია. მაგრამ შეუფერებელი ტუფლებით ცეკვა ისეთი ძნელი იყო, რომ გოგონას ჯოჯოხეთური ტკივილებისაგან თვალებიდან მისდაუნებურად ცხარე ცრემლები სცვიოდა. კომისიის წევრები, რა თქმა უნდა, მიხვდნენ მის წუხილს და ალერსიანად იცინოდნენ. ღელავდა სიმამ, ღელავდნენ ახლად გაცნობილი ამხანაგები, ოდნავ ღია კარებიდან თვალებდაჭყეტელი უყურებდნენ და შიგადაშიგ ჩურჩულით ამხნეებდნენ, მაგრამ სიმამ 24 ჯერ გააკეთა ფუტეტე, შემოტრიალებიას თითი გადაუტრიალდა და ტკივილისაგან იქვე ჩაჯდა. სიმამ კარგად იცოდა, რომ ეს არ იყო ნამდვილი ფუტეტე. ცრემლმორეული ადგილიდან არ იძვროდა, დაღონებული ელოდა მსჯავრს. შვაროვმა და რომანოვამ გამოუცხადეს — შენ ბალეტისათვის მაინც მსუქანი ხარ და როგორც არ უნდა გეცეკვა, ვერ მივიღებდით! სიმამ სახეზე ისეთი ტრაგედია გამოეხატა, ისეთი სევდიანი თვალები შეანათა ორივეს, მდულარე ცრემლებმა ისეთი გულწრფელობით გადმოანთხია პატარა გოგონას სევდა, რომ კომისიის წევრებს გული აუჩვილდათ და იმ პირობით მიიღეს სკოლაში, თუ იანვრამდე წონაში დაიკლებდა. მხოლოდ დიდმა მონდომებამ, დიდმა სიყვარულმა გაუღო საბალეტო სკოლის კარები ამ შეუპოვარ გოგონას და აკი ამიტომაც მისთვის ბოლომდე თვადადებული დარჩა.

იანვარში სიმამ გვარი ძირითად სიამა შემტრანსკის მდგომარობა თანდათან უმჯობესდებოდა. დიდმა მსახურე შეირიგა ურჩი შვილი, კიდევ ინახულა. ტექნიკურში სიმამ ყველამ შეიყვარა. მისი ნებისყოფა და თვადადება ყველას პატივისცემას იწვევდა, არცერთი საღამო-კონცერტი არ ჩატარებულა მის ვარემში, სიმამ კონცერტზე საპატიო ნომერი ჰქონდა დათმობილი.


1939 წელს ოთხებზე და ხუთებზე დამათარგა ლენინგრადის საბალეტო ტექნიკურში. ტექნიკურის დამათარგების შემდეგ მარინსის თეატრში განაწილეს სამუშაოდ.

თეატრის პარალელურად სიმამ ვეკუა ბალეტის პედაგოგის კურსებზე შედის „მე არ მსურდა საქართველოში ხელმოცარული დაბრუნებულიყავი, ყველაზე სასარგებლოდ ჩავთვალე კარგად ამეთვისებინა რუსული კლასიკური ბალეტის ყველა საიდუმლოება, რომ შემდეგ შემძლე-ბოდა მომავალი კადრების აღზრდა“.

ლენინგრადში ყოფნამ დიდი ცოდნა და გამოცდილება შეისძინა სიმამ.

თეატრის დასში ჩარიცხვისთანავე კომკავშირის კომი-

„ვალეტის ლამე“. ადაიოი





ტეტის მდივნად ირჩევენ. იწყება ღინეთის ომი. სიმა აკა-
ლობებს კომპაგნიროლ საკონცერტო ბრიკადას. მისი ნერ-
ვის და მტკიცე ხასიათის წყალობით ბრიკადა შუა ზამ-
თარში, ქარსა და ყინვაში ციგებთი გადადის ერთი ადგი-
ლიდან მეორეზე და ატარებს საინტერესო კონცერ-
ტებს.

მერე დაიწყო დიდი სამამულო ომი... ლენინგრადის
ბლოკადა, მუსიკის მაგიერ თვითმფრინავების გრვინება და
ზაოთი, სპექტაკლების ნაცვლად სიყვდილი, შიმშილი და
შიშის ზარი. სიმამ ძლიერს ჩამოაღწია პერმამდე, სა-
დაც ლენინგრადის თეატრი იყო ევაკუირებული. პერმი-
დან კი — თბილისში. თბილისმა თითქოს დაუამა ტკი-
ვილები, შორს დარჩა ფრონტი და ომის საშინელება, მაგ-
რამ თეატრში ყველა ადგილი შეესებული იყო, სად წასუ-
ლიყო — მას ხომ უთეატროდ აღარ შეეძლო? კულტურის
სამინისტრომ ვეკუა მუსკომედის თეატრში გააკაზგა.
სეგდანად ახედა სიმამ მუსკომედის გაცრეცილ შენობას,
ქრიალით შეალო მწვანედ შეღებილი კარები. მტკაცველით
გადიზომება სცენა, გაიფორმა და გული ჩაეხურა. უხალი-
სოდ დაწერა განცხადება.

რა უნდა გაეკეთებინა ამ თეატრში, სადაც ჯერ პრო-
ფესიულ მოცეკვავეს ფეხი არ დაედგა, საპირო შემთხვევა-
ში მხოლოდ მომღერალთა გუნდი ცეკვავდა.

უსიტყვოდ მიუხედა ნაღველს ქორეოგრაფი დ. მაჭავა-
ციანი. დაწერილებით გამოჰკითხა სიმას ყველაფერი და
მამინეე ოცნებაში მოხაზა კლასიკური ცეკვის რამდენიმე
ილეთი. ერთი კვირის შემდეგ უჩვენა მოფიქრებული სოლო
ცეკვა. სიმა სიხარულმა აიტაცა, რამდენიმე დღის დაძაბუ-
ლი მეკადნიეობის შემდეგ ცეკვა მზად იყო. მაყურებელმა
მხურვალე ოვაციით მიიღო ძველ სპექტაკლში ჩადგმული
ახალი ცეკვა.

მუსკომედის თეატრის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწ-
ყო — სიმეგრასა და სიტყვაკაზმულ მეტყველებს ვერ-
დი დაუმშენა კლასიკურმა ცეკვამ. მრავალმხედრე-
ბული მიიზიდა პროფესიული ცეკვის პირველმა მერცხალ-
მა.

სიმა ვეკუა მუსკომედის თეატრში პირველი პროფესი-
ული მოცეკვაე იყო, შეიცვალა განწყობილება, სიმა გახა-
ლისდა, გარდა ცეკვისა, ენერგიულად მოჰკიდა ხელი პე-
დაგოგიურ მოღვაწეობას და თეატრი შეავსო მოცეკვაეთა
ახალი კადრებით.

პარალელურად სიმა ოპერისა და ბალეტის თეატ-
რში სოლისტად და რეპეტიტორად იწყებს მუშაობას.
სიმა ვეკუას ჩამოსვლას დაემთხვა ვ. ჭაბუკიანის თბილისში
ჩამოსვლაც. მთელი გადატრიალება მოახდინა ჭაბუკიანმა
საბალეტო დასში. „ჩემ თვალწინ გაიარა ქართული ბალე-
ტის ისტორიის ყველა მნიშვნელოვანმა თარიღმა. მისი ჩა-
ნაფიქრის განხორციელება ხშირად მე მიხდებოდა. ბედ-
ნიერი ვიყავი, როდესაც მის მოწონებას ვიმხადებოდი. ეს
კი არც ისე ხშირად იყო, რადგან ძალიან სუსტ დასთან
გვექონდა საქმე“ — ამბობს სიმა ვეკუა. ჭაბუკიანი ძალიან
მომთხოვნი და ენერგიული იყო, სიმას სწორედ მასთან
მუშაობაში გამოუმუშავდა ხასიათი, თეატრში რეპეტიტო-
რის მძიმე და პასუხსაგებ მოვალეობას 1959 წლამდე ას-
რულებდა. 1950 წ. ვ. ჭაბუკიანი დაინიშნა ქორეოგრაფი-
ული სტუდიის დირექტორად და სრულიად ბუნებრივი
იყო, როდესაც ჭაბუკიანმა მოადგილედ ვეკუა დასახელა.
წლების მანძილზე გვერდში უდგას სიმა ვეკუა ვ. ჭაბუკი-
ანს, დაულალავად, ენერგიულად იბრძვის ბალეტის ახალი
კადრების აღსაზრდელად.

1958 წელს, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის
დეპარტის დროს ს. ვეკუას საქართველოს დამსახურებული
არტისტის წოდება მიენიჭა.

ვეკუა დიდ ენერჯიას ახმარს გამოსაშვები სადამოების
მოწყობას, ეს დღე მისთვის სასიხარულოც არის და სეე-
დანიც.

წლების მანძილზე შეილებივით შეთვისებულ გოგონებს
და ბიჭუნებს ისტუმრებს სასწავლებლიდან: ცრემლიანი
თვალეებით გააცილა მან თავისი აღზრდილი მოწაფეები
ი. ქებაძე, გ. კუკულაძე, ზ. გოგილაყა, საევიჩი, სტუპინა,
უფრო ადრე ვ. გუნაშვილი. მარინის თეატრში ა. პაე-
ლოვსკი, მცირე თეატრში ლ. ბასაკოვა და მრავალი სხვა.
მიღის წლები... ყოველ წელიწადს ახალი კადრები ენ-
ციცილებიან ძველს, ყველაფერი იწყება თავიდან. სიმა ვეკუა
ხალისით, ახალგაზრდული ენერჯიით, დედაობივი მზრუნ-
ველობით მიაცილებს თავის მოწაფეებს. დღეები დღეებს
მიჰყვება, მატულობს წელთა სიმრავლე, მატულობს სახე-
ლოვანი ქართული ბალეტის კადრები, რომელთაც სიმა
ვეკუას ამაგიც აჩინა.



ს. ვეკუა გავეთილზე ქორეოგრაფულ სასწავლებელში

მრავალმხრივი უმაჯობელი

ოთარ კაიშაური

გიორგი სესიაშვილის ნამუშევრები ბარელიეფში
(წერილი მეორე)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ახალმა იდეალებმა ახალი ფორმები, მხატვრული ხორცშესხმა მოითხოვეს, საჭირო შეიქმნა ქანდაკების მრავალფეროვან სახეობათა და ჟანრთა დაწესება-განვითარება, მის მდიდარ ტექნიკურ საშუალებათა ფართო გამოყენება.

ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრა დაეკისრა თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა პირველ თაობას, რომელთა შორის გ. სესიაშვილიც იყო. მის მიერ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს შესრულებული ნამუშევრები: „სათო-



უბი მოსავალი

ბარში“ (1922 წ.), „აჯანყება“ (1924 წ.), „კვის ლოდის გადაწევა“ (1926 წ.) და სხვა საქართველოში რელიეფური პლასტიკის პირველ ნიმუშებს წარმოადგენდა.

სამართლიანად აღნიშნავს იგორ ურუშაძე, რომ აგვიორგი სესიაშვილის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული საბჭოთა რელიეფური პლასტიკის ტრადიციების შემუშავება. თავისი შემოქმედებითი შთაბეჭდილების მნიშვნელოვანი ნაწილი მან სწორედ ამ ტექნიკაში განახორციელა. საკმარისია გავისწინოთ მისი „აჯანყება“ (1924 წ.), „მუშა“ (1927 წ.), იგივე „შრომის ზეიმი“ და სხვა, რომ ადვილად დავარწმუნებთ ამაში. აღ. წულუკიძის ძეგლისათვის იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებულ რელიეფთან ერთად (1923 წ.) ისინი ამ დარგში ქართული საბჭოთა ქანდაკების პირველ ცდებს წარმოადგენენ. ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გ. სესიაშვილის ძიებებს, რომლებსაც იგი თანამიმდევრულად აწვითარებდა და აწვითარებს¹.

სანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე გ. სესიაშვილმა შეასრულა მრავალი ნამუშევარი, რომელთა ქრონოლოგიური განხილვა მის მიერ რელიეფური სკულპტურის თანმიმდევრული დაუფლების საინტერესო სურათს იძლევა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1922 წ. ქართველ მხატვართა პირველ გამოფენაზე ექსპონირებული იყო.

¹ იგორ ურუშაძე — „ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება“, გვ. 42.



პარტიზანი

გ სესიაშვილის ბარელიეფი „სათოხარში“. ეს ნამუშევარი არსებითად დებიუტია ავტორის შემოქმედებით ცხოვრებაში.

ყავისფრად ტონირებულ მცირე ზომის დაფაზე დაბალი რელიეფით მოცემულია მამაკაცის ფიგურა. იგი მაცურბლისაკენ არის შემობრუნებული და მისი სხეულის მდგომარეობა ნაობზატკის მთიანეთის პირსა: თავდაღუნული, მუხლებში ნობჩირლი (სხეულის სიძიმის მარცხენა ფეხზე გადატანით), ხელების დამანასათებელი მოძრაობით. წელსვეთი შიშველს ფართო მარგალი აცვია, თავზე ახურავს მზისაგან დასაცავი ფართო ქუდი. გ. სესიაშვილის ამ პირველ ნამუშევარში გამოვლინდა სხეულის რთული მდგომარეობისა და მოძრაობის პლასტიკური გამოსახვისადმი მისწრაფება. ფიგურა სივრცეშია გაშლილი, რაც მიღწეულია გამოსახულების ზედა ნაწილის რელიეფის თანდათანობით დაბალბებით, ამავე დროს ფონის ქვედა ამოტეხილი ნაწილის თანდათანობითი შერბილებით გაადის გლუვ ზედაპირში, გამოსახულების კონტურის ხაზი თითქმის შეუმჩნეველად ერწყმის ფონს, რაც თავის მხრივ აძლიერებს სივრცეში გაშლის შთაბეჭდილებას. ავტორის მიერ გამოვლენილია მხოლოდ ძირითადი. სხეულის ფორმები განსოგადებულია. ტუნწი, მაგრამ ამავე დროს მტკცველი ერთადმოცემულია სხეულის დაბალბობა, შინაგანი დინამიკით აღსაყუე მოძრაობა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ვარეშობა, რომ მიუხედავად მცირე ზომისა, ეს ნაწარმოები ძალზე მეტყველია და მისი მნიშვნელობა სცილდება კამერულობის ფარგლებს.

ქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნამუშევარში იგრძნობა კონსტანტინე მენიეს გაკლენა (თვით თემა, კომპოზიციური გადაწყვეტა, ჩაცეულობა და სხვ.), მაგრამ ეს არ ჩრდილავს

ამ ბარელიეფის მხატვრულ ღირებულებასა და მნიშვნელობას ქართული რელიეფური პლასტიკის ისტორიისაგან.

იმავე 1922 წელსაა შესრულებული ბარელიეფი „ქატიკაში“ შვილი ტირითი“. ქალის ფიგურა მოცემულია მოძრაობაში მარჯვნიდან მარცხნივ, მას მარჯვენა ხელში ტირითი უჭირავს, მარცხენა ხელი კი წონასწორობის დასაცავად განწე აქვს გაშლილი, თხელი, სადა სამოსი ავლენს ქალის სხეულის მკერდ ფორმებს. „ქალიშვილი ტირითი“, ისევე როგორც „სათოხარში“. შესრულებულია დაბალი რელიეფით, რომელიც მარჯვნიდან მარცხნივ თანდათანობით დაბლდება ისე, რომ თუ მარჯვენა ხელის ფორმა მკაფიოდ იკითხება, მარცხენა ხელი იღნავ გამოიყოფა ფონისაგან. ფიგურის ასეთი გამოსახვა ავტორს ესაჭიროება მოქმედების სივრცეში გაშლისათვის. სხეულის ფორმები განსოგადებულია. სახის ნაკეთები ოდნავაა აღნიშნული. ავტორი ოდნავ მიანიშნებს სამოსის ნაკეცებს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ტანსაცმლის შთაბეჭდილება იქმნება ერთი ოსტატური შტრიხით — მუხლებთან მკრთალად შემოსაზული ოვალური ხაზით. საერთოდ ქალიშვილის გამოსახულება ორგანულადაა ჩაწერილი ფონში. კონტური თითქმის შეუმჩნეველია, — იქმნება ილუზია, თითქოს ქალიშვილის სხეული იკარგება უსაზღვრო სივრცეში. ბარელიეფი განსაკუთრებით კარგად აღიქმება არეკვლით სინათლეზე. როდესაც გამოსახულება მთლიანად ჩაურთავია ხდება. ეს ორი ბარელიეფი, ფაქტიურად, ქართული საბჭოთა რელიეფური პლასტიკის პირველ ნიმუშს წარმოადგენს, რაც მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული სკულპტურის ისტორიაში, მით უფრო, რომ ისინი დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ მხატვრულ ღირებულებას.

ქართული ქანდაკების ისტორიისათვის უდაოდ საინტერესოა, რომ გ. სესიაშვილმა ერთმა პირველთაგანმა შექმნა პერიოდული რომანტიკის სულით გასმკვალული ნამუშევრები, პლასტიკური ერთი აამეტყველა რეკოლუციის ამალღებელი სურათები.

20-იანი წლების მიწურულში საბჭოთა მოქანდაკეები ქმნიან რეკოლუციური რომანტიკით აღსაყუე ნამუშევრებს. შეიძლება დავასაყუოთ შადრის, ანდრეევის, მუხინას და სხვა გამოჩენილი მოქანდაკეთა ქმნილებები, რომლებიც საპართიონანდააა შესული საბჭოთა ხელოვნების ოტრის ფონდში და მნიშვნელოვან ეტაპს ქმნის საბჭოთა ქანდაკების ისტორიაში. პერიოდული რომანტიკის ტალღა, სამწუხაროდ, მეტად სუსტად გადმისწვდა ქართულ ხელოვნებას. ყოველ შემთხვევაში, ქანდაკებაში ჩვენ, პირველ ყოვლისა, უნდა დავასაყუოთ ისევე სენსივობის ნამუშევრები.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი პორელიეფი „აჯანყება“. პროლეტარიატის გმირული ბრძოლა და გამარჯვება — აი ამ პორელიეფის თემა. ავტორის მიერ გადმოცემულია აჯანყებული მასების პათოის და შეუდრეკელი ძალა. ნამუშევარი წარმოადგენს ფართო ფრიზს, რომელზეც მაღალი რელიეფით გადმოცემულია მრავალრიცხოვანი ფიგურენივ. ფიგურების გამოსახულია მთელ, მრავალფეროვან მოძრაობაში. იქმნება სხეულთა ერთი მთლიანი წნული. აჯანყებულთა სათავეში დგას მდროშე, რომელიც მტკიცე და ფარ-

თო ნაბიჯით, ზედაღმართული დროში მიიწვეს წინ. მდროშის ნაბიჯს კანონზომიერად იმეორებს კოლონის ყველა წევრი, წარმოიქმნება დაბაბული რიტმი. ამავე დროს საერთო მოძრაობა შესამჩნევად ძლიერდება მარჯვნიდან მარცხნივ. იქმნება ძლიერი კონტრასტი, რომლის აპოკსის წარმოადგენს სწორედ მდროშის გამოსახულება. გარდა ამისა, კომპოზიციის ექსპრესიის გაძლიერებისათვის ავტორი მიმართავს დამატებით მატერულ საშუალებებს: დროშის ტარის დახრილი ხაზის მიმართულებას იმეორებს მდროშის მარჯვნივ ფეხის მდგომარეობა, საბრძოლო იარაღების მარჯვნივსკენ დახრილი პარალელური ხაზები, თავის მხრივ, აძლიერებენ საერთო დინამიკას, კოლონის ბოლოს ზურგშეკვეთი ფიგურის მოძრაობა პასუხის მდროშის მოძრაობას. გარკვეული ტექნიკური დამუშავების შედეგად (წინასმების მიმართულება) დროშა და ფონი აღიქმება ერთ მთლიანობაში. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მოქმედება მიმდინარეობს ქარის მიერ აფრიალებული დროშის ფონზე. ავტორი არღვევს ტრადიციას და დროშა ფონის წინასმების აბლევს აჯანყებულთა ხელის მიმართულებას. შექმნილი დიკანონიური ტალღები არღვევენ კომპოზიციის სწორკუთხედს ჩარჩოს და ქმნიან უსასრულო მოძრაობის შთაბეჭდილებას. ამრიგად, მარტივი, მაგრამ ეფექტური მხატვრული ხერხები ავტორი ფონს ანიჭებს მეტად აქტიურ და ქვეით რილს, რაც ხელს უწყობს ნაწარმოების იდეისა და მნიშვნელობის გახსნას.

არ შეიძლება ჩვენი ყურადღება არ შევანერთო პორელიეფის კლდისებურად დამუშავებული მარჯვენა კიდიდან ნახევრად გამოზიდულ ზურგმომხრებულ ფიგურაზე, რომელიც ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს სწორედ კლდემი იზადება და იკვთება აჯანყებული პროლეტარიატის მასების დაუსრულებელი ნაკადი.

ყველა ფიგურა წელს ზევით შიშველია. ეს ავტორის აძლევს საშუალებას გამოაკლინოს ფიზიკურად ძლიერი სხეულის კონსტრუქცია, კუნთების მაქსიმალური დაჭიმვა, რაც ესოდენ ლოგიკურად გამოხატავს აჯანყებულთა საერთო შინაგან მძაბულობას. სხეულის ფორმები მოქანდაკის მიერ განზოგადებულია, ყველა ფიგურის სახე ტიპიზირებულია².

„აჯანყება“ რელიეფში შესრულებული პირველი მრავალფიგურული კომპოზიციაა ავტორის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

20-იან წლებში შესრულებულ სხვა ნამუშევართა შორის გამოირჩევა აგრეთვე ბარელიეფი „შრომის დაცვა“. ოთხკუთხა დაფაზე ჩაღრმავებული წრეა, რომელშიც დაბალი რელიეფით გამოსახულია ოთხი ფიგურა და არქიტექტურული გარემო. კომპოზიციაში წრის მარჯვენა სემგმენტზე გამოსახულია მწა, რაც სიმბოლურად ნიშნავს უხე მოსავალს. ოთხკუთხედის ფუძეზე, წინგამოწეულ ლავგარდანზე დგას წითელარმიელი. ეს ფიგურა კომპოზიციაში უმნიშვნელოვანესია — ჯერ ერთი მხით, რომ სწორედ იგი გამოხატავს სიმბოლურად „შრომის დაცვის“ იდეას, ამასთან იგი გამოსახულია წინა პლანზე, შესრულებულია მაღალი რელიეფით. ამ ფიგურის მასშტაბი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე წრეში გამოსახული ფიგურებისა;

წითელარმიელი ყველა დამახასიათებელი ატრიბუციით: იგი როგორც ეს სესიაშილის საერთოდ სჩვევია, მოცემულია რთულ მოძრაობაში (მარჯვნიდან მარცხნივ შემობრუნების მომენტში) მისი სახის გამომეტყველება, სხეულის მძლავრი შინაგანი მოძრაობა მტრისაგან თავდაცვის მზადყოფნას გამოხატავს. წრეში, მწყობრში მდგომი ოთხი ფიგურა მოძრაობის ზუსტი განმეორების პრინციპითაა გამოსახული. მათ ხელში უტორავე შრომის იარაღები: ხაბურდი ხელსაწყო, ლომი, ნიჩაბი, წერაკვი, რომლებიც ქმნიან პარალელურ დახრილ ხაზებს. ფიგურების ვერტიკალური ხაზების მიმართ. იქმნება რთული რიტმი. რომელსაც კიდევ უფრო ამავილებს ფონზე მოცემული არქიტექტურული ხაზები. (ბარელიეფი შესრულებულია 1929 წელს).

30-იანი წლების დასაწყისში დედაქალაქის უძველეს უბანში, ორიატალაში გაულისას, გ. სესიაშილი ინტერესით აკვირდებოდა ვიწრო ქუჩებს და პატარა ეზოებში მოფუსფუსე ხალხს. ეცნობოდა მათ ყოველდღიურ საქმიანობას. ქაღალდითა და ფანქრით შეიკარალებული მხატვარი საინტერესო ვარსული სცენების სწრაფ ჩანახატებს აკეთებდა. ამ ჩანახატების საფუძველზე შემდგომ შეიქმნა მრავალი მცირე ზომის ბარელიეფი: „ქვის ლოდის გადაწვევა“, „ქვანის მრეცხავი“, „ასფალტის მოსწორება“, „ქარი“ და ა. შ. ეს ნამუშევრები გამოირჩევიან უუალობით, დახვეწილი კომპოზიციით, რეალისტური მანერით.

1926 წ. გ. სესიაშილმა შექმნა ბარელიეფი „ქვის ლოდის გადაწვევა“. ფართო დაფაზე ამოჭრილ ღრმა, ზედალური ფორმის ნიშაში ოთხი კაცი კეცებით ცდილობს ქვის ლოდის გადაწვევას. ისინი ცენტრში მდებარე ქვის ლოდის გარშემო ერთმანეთის საპირისპიროდ არიან გამოსახულნი ისე, რომ ერთ-ერთი მათგანი მაყურებლისაკენ ზურგითაა შექცეული, მისი მოპირდაპირე ფრონტალურად, ხოლო ორი დანარჩენი კი პროფილში.

კომპოზიციას გულდასმით თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ოთხივე ფიგურა იმეორებს სხედის სხვადასხვა წერტილიდან დანახულს ერთსა და იმავე მოძრაობას, რაც იძლევა ოთხ განსხვავებულ გამოსახულებას.

„ქვის ლოდის გადაწვევა“ შესრულებულია დაბალი რელიეფით. ფიგურების გამომყვამში შეიმჩნევა ფორმითა უკიდურ-

კალაბოროტი



² ბარელიეფი „აჯანყება“ რელიეფიონარი მუშის, მისა მომართულის საფლავის ძეგლისათვის იქნა გამოყენებული.



რესი განზოგადება და ერთგვარი პირობითობა. კონტურის ხაზი მკვეთრია. ფიგურები, როგორც ეს სესიაშვილის ამ პერიოდის სხვა ნამუშევარშიც დავინახეთ, წელსვეითი შიშველნი არიან რაც ავტორს საშუალებას აძლევს პლასტიკის ერთი გადმოსცეს ფიზიკურად ძლიერი სხეულის კუნთების დაძაბულობა.

1930 წ. სესიაშვილმა შესარულა ბარელიეფი „ქარში“ (12×8, ბინძორი). წამოხატაშაში გახვეულ მამაკაცს ზურგიდან უბერავს ძლიერი ქარი. იგი მთელი ძალით ცდილობს წინაღმდეგობა გაუწიოს ქარის ძლიერ ტალღას, მარჯვენა ხელი აიკავებს მოსასხამს, ხოლო მარცხენაით ქელს. ფიგურისათვის დაყენებული, რომ მისი სიძიმის ცენტრში საყრდენი წერტილები გაერთაა მოცემული. ამრიგად გადმოცემულია ამ მონუმტში ადამიანისათვის დამახასიათებელი მდგომარეობა. მუხლების მკვეთრი მხრის მიხედვით ვგრძნობთ, რომ მას უჭირს თავის შეტევება. მარჯვლის ფართო ტოტებისა და მოსასხამის ინდგომარეობა კარგად გადმოსცემს ძლიერი ქარის შთაბეჭდილებას. გამოსახულების კონტური მკვეთრად გამოიყოფა ფონისაგან.

ამ თემას გ. სესიაშვილი შემდგომშიც ხშირად უბრუნდება. შემორჩენილია სხვადასხვა დროს შესრულებული დაახლოებით სამი ათეული ნახატი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრობს 1961 წ. შესრულებული შვიდი ჩანახატი (ექსპონირებული იყო გ. სესიაშვილის პერსონალურ გამოფენაზე), რომლებშიც ადამიანის სხვადასხვა რთული მოძრაობის საინტერესო ნიმუშებია.

ბარელიეფში „ასფალტის მოსწორება“ ქალი მოაგრობებს ასფალტის სატკეპნ მძიმე ბორბალს. ფართო, მძლავრი ნაბიჯით, მოზრდილი კორპუსით და დაძაბული სხეულით შეიგრობს, რომ იგი მთელი ძალით გვიჩვენებს ნიდაგას, რათა აამოძრაოს მძიმე ბორბალი. ქალის სხეულის კორპუსი, უკან გადახრილი მარცხენა ფეხი, კისერი და თავი ერთ მთლიან დახრილ ხაზს წარმოადგენს, რომელიც იარაღის გრძელი სახელურის მიმართ მკვეთრ კუთხეს ქმნის. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ხაზი მოძრაობას შეაჩერებდა, რომ ქალს მარჯვენა ფეხი წინ გადადგმული არ ქონდეს, შეიგრძნობა, რომ მძიმე იარაღის წინააღმდეგობა დაძლეულია. იქნებაც მოძრაობის დამაჯარაველი შთაბეჭდილება: ქალის სამოსელქვეშ იკითხება მკვრივი და კუნთოვანი სხეული. სახის ნაკეთები ოდნავაა მოხაზული. დეტალების გადმოცემა უარყოფილია.

„ქვაბის მრეცხავი“ ასევე ვანრული სცენაა. გამოსახულია ქალი, რომელიც რეცხავს დიდ კასრისოდნა ქვებს. იგი წელში მოხრილია, დროშის პოზა თავისუფალია, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ასრულებს ჩვეულ სამუშაოს. აცვია მოკლე კაბა, წინააგრეთა და აწული სახელოებით, თავზე აქვს მოსახვევი. ბარელიეფი „ქვაბის მრეცხავი“ შესრულებულია დაბალი რელიეფით. გამოსახულების კონტური თითქმის ურწყობს ფონს.

გ. სესიაშვილის ამ პერიოდის რელიეფთა შორის გამოირჩევა „სამუშაოს შემდეგ“ (1936 წ.). ბრტყელ დაფაზე ოვალური ფართო ნიშაა, რომელშიც მოცემულია ბანაობის სცენა ოთხი შიშველი ფიგურა, მუხუთე კი — ტანსაცმლიანი (ბარელიეფის მარჯვნივ) ჩამოდის კბიებზე და მალა აწული მარ-

ჯვენა ხელით (რომელიც კვეთს ნიშის ოვალს) ქსალმბა ამზანაგებს. მობანავენი სხვადასხვა მოძრაობაში არიან. მარცხენა კიდში მდგომი ფიგურა ფრონტალურადაა მოცემული. მარცხენა აწული ხელით იმშენებს ტანს, მარცხენაით კი ზურვის მეთერ ბოლო უკავია. მის ფეხებთან ზის მეთერ მობანავე, რომლის უკან, მაყურებლისაგან ზურგით, გამოსახულია მესამე სიღრმეში მოჩანს მეთებე ფიგურა (რომელიც თავს იბნის). მოქანდაკის მიერ გადმოცემულია ფიზიკური შრომით გაკავებული, განავითარებული კუნთოვანი სხეულები. იქნებაც შთაბეჭდილება, რომ ავტორი, პირველყოფილისა, ისწრაფვის გადმოსცეს ადამიანის სხეულის მოძრაობის პლასტიკურადა. ამავე დროს, ისევე როგორც ადრინდელ ბარელიეფში მოქანდაკე დაინტერესებულია სიერის შთაბეჭდილების შექმნის ამოცანით. ამ მიზნით ორი ფიგურა (ფრონტალურად მდგომი და ტანსაცმლიანი) პორელიეფით არის შესრულებული. მჯდომარე და ზურგმუხმუწვეული ფიგურა — დაბალი რელიეფით, ხოლო მუხუთე ფიგურა კი ოდნავ გამოიყოფა ფონისაგან. სწორედ ფიგურათა სხვადასხვა სიმაღლის რელიეფით გამოსახვა იძლევა სიერის შთაბეჭდილებას.

ბარელიეფზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ კომპოზიციის შინაგანი კანონები და ლოგიკა. ასე მაგ. წინა პლანზე შიშველ ფიგურას პასუხობს მეთერ ბელანზე ზურგმუქვეულის მოძრაობა, ფეხზე მდგომი ფიგურის ხელების მოძრაობას — სიღრმეში გამოსახულის ხელების მოძრაობა. ფრონტალურად მდგომის, ზურგმუხმუწვეულისა და მემოსულის ზეაღმართული ხელები ქმნიან კომპოზიციის ერთიან რიტმს. ეს ბარელიეფი ცხადყოფს, რომ ავტორი სრულყოფილად ფლობს სხვადასხვა მოძრაობის პლასტიკური გამოსახვის რთულ ამოცანას, კარგად ერეკვევა ადამიანის ანატომიისა და მრავალფეროვანი კომპოზიციის საკითხებში.

საერთო რელიეფით შესრულებული ყველა განხილული ნამუშევარი საშუალებას გვაძლევს დავაცხვენათ: გ. სესიაშვილი რელიეფური პლასტიკის ერთი ასახავს ან უშუალოდ ნახულ საყოფაცხოვრებო სცენებს („სათობარში“, „ქალი ტვირთით“, „ასფალტის მოსწორება“ და სხვ.), ან ქმნის კომპოზიციებს ზოგად თემაზე („აჯანყება“, „შრომის დაცვა“ და სხვ.). აღსანიშნავია, რომ თუ საყოფაცხოვრებო თემაზე შექმნილი ნამუშევრები გადაწყვეტილია კაიური სისადავით, ზოგად განყენებულ თემაზე შესრულებული ნამუშევრები ავლენენ ავტორის მისწრაფებას მძაფრი დინამიკისა და ხაზგასმული რითმულობისაკენ.


გ. სესიაშვილი, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, ცხოველებს გამოსახავს გრაფიკაში, კერამიკასა და ქანდაკებაში. ცხოველთა რამდენიმე გამოსახულება მან რელიეფშიც შეასრულა. აღსანიშნავია, რომ კერამიკაში მოქანდაკე ძირითადად გამოსახავს მტაცებელ ცხოველებს, რელიეფში კი შინაურ ცხოველებს (ცხენი, ძროხა, აგრეთვე ირემი). ეს გარემოება, ჩვენის აზრით, უბრალო შემთხვევითობა არაა, აქ ავტორი ითვისაწინებს მასალის სუბიფიკას და განსხვავებს სხვადასხვა მხატვრული მეტყველების საშუალებათა შორის. შეიმჩნევა, რომ კერამიკაში შესრულებული ცხოველები ყოველთვის მოცემული არიან ხაზგასმულად დაძაბულ მოძრაობაში, წინ წამოწეულია ქანდაკების დეკორატიული მომენტი. რელიეფით

გამოსატულნი კი ყურადღებას იპყრობენ საერთო წყნარი ხასიათითა და ერთგვარი სტატიკურობით.

საინტერესოა 1932 წ. მთიულეთში ყოფნის დროს შესრულებული მცირე ზომის ბარელიეფები. ერთ-ერთ მათგანზე გაჩახულია ძროხა, რომელიც ბალახს ძვს, შესრულებულია დაბალი რელიეფით. კონტური მკაფიოდ გამოჰყოფს გამოსახულებას ფონისაგან. ამავე წელს მიგუთუნება „უხაგირიანი ცხენი“. შესრულების ხასიათის მიხედვით იგი თითქმის არ განსხვავდება ზემოაღნიშნულისაგან. მაგრამ გარკვეულად წყნარ დგომაში შეიგრძობა შინაგანი დაძაბულობა. ოდნავ წინ გაწეული კისერი და თავი, სამ ფეხზე დგომა, დაცქვეტილი ყურები ჰქმნის შთაბეჭდილებას, რომ ცხოველი მოლოდინშია. სხეულის ფორმები უფრო განზოგადებულია, ვიდრე წინა ბარელიეფში, თუმცა აქაცაა მისწრაფება ცხოველის ანატომიური აგებულების გამოვლენისაკენ.

ყურადღებას იპყრობს ბარელიეფი ფურ-ირუმის გამოსახულებით. (1942 წ. თაბაშირი) მალა აწეული კისერი და თავი, დაცქვეტილი ყურები, ნაღვლიანი თვალები — ჩანს, რომ ცხოველი შეიგრძნო მოსალოდნელი საფრთხე და ეს-ეს არის მიაჩნება თავი ბალახის ძვას. ისტატიკურადაა გადმოცემული ცხოველის სხეულის პროპორციები, კისრის გრაციოზული მოძრაობა, შინაგანი დაძაბულობა. სტკეის ტუნწი, მაგრამ მეტყველი შტრიხებით, მონიშნულია ძირითადი ფორმები. დაბალი რელიეფით შესრულებული ცხოველის გამოსახულება გლუვი ზედაპირისაგან კონტურის მკაფიო ხაზით გამოიყოფა.

გ. სესიაშვილის შემოქმედების მუდმივ თემას წარმოადგენს ადამიანის სპორტულად განვითარებული, ფიზიკურად ძლიერი სხეული და მისი დინამიკით აღსავსე მოძრაობა. გასაგებია, რომ რელიეფით შესრულებულ შესრულებებში ეს თემა უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. ზემოთ განხილულ ნამუშევრთა („აჯანყება“, „შრომის ენთუზიასტიკები“, „სფალტის მისწორება“, „ტვირთიანი ჭალი“, „სამუშაოს შემდეგ“) უმარჯესობა სწორედ ამის საუკეთესო ილუსტრაციაა. გ. სესიაშვილისათვის სპორტი, მთელი თავისი მრავალფეროვანი სახეობებით გადაიქცა ნამდვილ ვლდორადოდ. სპორტულ თემაზე მან შესარულა მრავალი ათეული ჩანახატი, რომლებშიც იგი ისწრაფვის დამახასიათებელი, რთული მოძრაობის გადმოცემისაკენ. სწორედ ამ გრაფიკულად შესრულებული ნახატების საფუძველზე დაიხვეწა ის რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც შემდეგ მან რელიეფური ტექნიკით შესარულა. 1932 წ. მიუკუთვნება ბარელიეფი „ფეხბურთელი“. ფეხბურთელი მოცემულია რთულ მდგომარეობაში — კორპუსი სამ მეთხედში, კისერი ენერჯულად დახრილი, მარცხენა ფეხი მკვეთრ კუთხეს ქმნის (ამ ფეხით იგი ბურთს ურტყამს). მაღალმა ხელი გაშლილია. გამოსახულია ელვისებური შემობრუნება მარჯვნიდან მარცხნივ. მხაზველს ჰორდება ხანგრძლივ დაკვირვება, რათა შეიგრძნოს სხეულის მოძრაობაში გამოსახული შინაგანი ლოცვა და გაკოხს, თუ როგორაა დადგული წონასწორობა, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ფიგურის დგომის შენარჩუნება. სხეულის ყოველი ნაწილი უარესად დაძაბულია, მოძრაობა დინამიკური. მიუხედავად იმისა, რომ ბარელიეფი დაბალია, გამოსახულების კონტური და ძირითადი შტრიხები მკვეთრად იკითხება.



შის ცხოველყოფილ სხეულს ქვეშ

1939 წ. გ. სესიაშვილმა შესარულა ბარელიეფი „კალათბურთი“, რომელზეც ორი სპორტსმენი ჭალა მოცემული. ბურთისათვის ბრძოლის დროს ერთი მათგანი ძირს ეცემა (გადმოცემულია დაცემის პროცესი), მეორე, ბურთით ხელში მისწრაფვის მიზნისაკენ. ავტორი აქ სხვა ამოცანას ისახავს, ვიდრე ეს „ფეხბურთელში“ ენახებოდა. დაცემული მოთამაშე ქალის სხეული ხრანისებურადაა გადაწყვეტილი: გაშლილი ხელები, შემობრუნებული კორპუსი, მუხლიან მოცეცილი ფეხები. ამ ორი სხეულის ერთიანი წნული აგებულება ფორმების და ხაზების გარკვეულ ერთიან შეთანხმებაზე. ორივე კომპოზიციაში ორი ფიგურა აღიქმება როგორც ორნამენტული წნული.

ბარელიეფზე „ჭიდაობა“, გამოსახულია ერთ-ერთი მეტად დამახასიათებელი ილუთი — ორი მოჭიდავე ერთმანეთს მძლავრად შეჭიდებიან. ერთ მათგანს სურს მეჭიჭე დასცეს მოწინააღმდეგე, მეორე ცდილობს თავის დაღწევას, ამავე დროს თვითონ ქმნის კონტრიერის — ხელებით ძლიერ ჩაჭიდდება მოწინააღმდეგეს და ცდილობს მის წაქცევას... ორი მოჭიდავის სხეული ქმნის ერთ მთლიან კვანძს. მოძრაობა ექსპლესიოთაა აღსავსე. კუნთები მაქსიმალურად დაძაბულია.

სპორტულ თემაზე შექმნილ ყველა ნამუშევარში, ყურდნობა ხანგრძლივ დაკვირვებას, მოქანდაკე რელიეფური პლასტიკის ერთი გადმოცემის სპორტულად განვითარებული სხეულების წინაფი დინამიკით აღსავსე მოძრაობას, დამახასიათებელ, ტიპურ ეპიზოდს. ყოველთვის გულდასმით ეძებს სანტრესო კომპოზიციას, მიმართავს რელიეფურ პლასტიკას, მრავალფეროვან მეტყველებას.

მოქანდაკის შემოქმედებაში ასახვა ჰქონდა სამამულო ომმა, საბჭოთა ხალხის გმირულმა ბრძოლამ. ბარელიეფზე „პარტიზანი“ (1943 წ.) გამოსახულია მებრძოლი. მას ზაფხულის ტანისამოსი აცვია. მარცხენა ხელში ტყვიამრტყვევი უჭირავს, ხოლო მარჯვენაში ხელყუმბარა აღბეჭდილია სწორედ ის მომენტი, როდესაც პარტიზანი, ზურგში მოხრილი აპირებს ხელყუმბარის ტყორცვას. გამოსახულება მოცემულია მაღალ რელიეფში, რომელიც პორელიეფს უახლოვდება. მთელი ფიგურა ადვილად ჯდება სამკუთხედში.



თ. სიხარულიძე

მოხეცი

მოზარდთა უამოქმედება

თენგიზ მალანია

საყურადღებო ინიციატივა გამოჩინა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა. აქ მოეწყო თბილისის სკოლების მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა. მოზარდთა ნამუშევრების

ჩვენება ასე ფართო მასშტაბით უდოოდ თვალსაჩინო მოვლენა იყო.

გამოფენამ პირველი დღეებიდანვე მიიზიდა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. მოსწავლეთა შემოქმედებას მრავალი დამთვალეიერებელი გაეცნო არა



ნ. შარაშიძე

ეფფტონან შებმა

მარტო თბილისიდან, არამედ მომხე რესპუბლიკებიდანაც.

მუზეუმის ნათელ დარბაზებში გამოფენილი ათასზე მეტი ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევარი, რომლებიც შექმნილია თბილისის 88 სკოლისა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ მხატვართა წრის წევრების მიერ, ნათლად მეტყველებდა, თუ რა გატაცებით ცდილობენ დამწვები მხატვრები შეიყნონ და გადმოგვევენ გარემომცველი სამყარო. ისინი რეალისტურად, თემატური მრავალფეროვნებით ასახავენ თავიანთ ნამუშევრებში ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურ ყოფას. ბავშვების მხვილ თვალს არაფერი ეპარება: საკოლმეურნეო ცხოვრება, კოსმოსის ათვისება, სწავლა, შრომა, დასვენება, სპორტი...

ამ თემებზე შექმნილ ნამუშევრებს შორის იყო მეტყველი ჩანახატები, ეტიუდები, როგორცაა მაგალითად მე-17 სკოლის მერვეკლასელის კ. ნინიაგვილის „სოფლის პეიზაჟი“, მე-20 სკოლის მეექვსეკლასელის მ. ჩილინგარიანის „ყამირის დამპყრობნი“, მე-19 სკოლის მეხუთეკლასელის ი. კონინევის „კოსმოსის დაპყრობა“, რ. გ. მე-2 სკოლის მოსწავლის ი. ზოლოტარიოვის „მშენებლობა“, „კოსმოსში გაფრენა“, „ეპროდრომზე“.

გაოცებთ მოზარდთა მდიდარი ფანტაზია, შთაბეჭდილებების გადმოცემის უნარი, საკუთარი მისწრაფებების გამოვლენა.

გამოფენაზე მრავლად იყო წარმოდგენილი ზეთითა და აკვარულით შესრულებული პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები.

ნათელი ფერებით გამოირჩეოდა 22-ე სკოლის მეცხრეკლასელის თ. ცხინიას „ზღვის პეიზაჟი“, მე-17 სკოლის მოსწავლეთა — გ. დეკანოზიძისა და ზ. ჭავთარაძის, მე-2 სკოლის მეცხრეკლასელის დ. კვალიაშვილის, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ მხატვართა წრის წევრის გ. გოდერძიშვილისა და სხვათა პეიზაჟები.

მე-50 სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეს ლ. ყუბანეიშვილს ნამუშევარში „მთვარიანი ღამე“ რამდენიმე ფერით საკმაოდ ეფექტურად გადაუწყვეტია

ჩანაფიქრი. სასურველი იქნებოდა, რომ მისი ნამუშევრები უფრო მრავლად ყოფილიყო წარმოდგენილი.

მშობლიური ქალაქის შთაბეჭედავი სურათი გადმოგვცა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელმა ა. პაპიაშვილმა თავის ნამუშევარში „თბილისი ხედი ღამით“.

პეიზაჟთა დიდი ნაწილი ღია, ნათელ ტონებში იყო შესრულებული. ნორჩი ავტორები ფერათა შეხამებისას კარგ გემოვნებას ამტკიცებენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ა/კ რკ. გუჩის № 1 საშ. სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლის, ე. სილაგაძის პეიზაჟი, რომელშიც ორიგინალურად და კარმინულადაა შეხამებული ერთმანეთთან ფერები.

აღსანიშნავია ავრეთვე 5ნ-ე საშ. სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლის გ. აფრიდინიძის „ზღვის პეიზაჟი“ და „ყანაში“. ფერთა საინტერესო კოლორისტული გააზრება 24-ე საშ. სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლის ე. ცაბაძის ნამუშევრებში, 54-ე სკ. VI კლასელის დ. ხუნდაძის ფერწერულ ტილოებში.

ადამიანი — გმირი, შემოქმედი და ბუნების გარდამქმნელი — ამ ნამუშევრების მთავარი თემაა. ნორჩი შემოქმედნი განსაკუთრებულ მიდრეკილებას აჩვენებენ მოძრაობის ასახვისადმი, რაც ავლენს მათი ავტორების ასევე მოძრავ, დაუღვარ ბუნებას.

დამოუარეობელობის დიდი ინტერესი გამოიწვევია თბილისის პირველი საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლის, მიტო გორდელაძის ნამუშევრებში.

საინტერესო გრაფიკული ნამუშევრები წარმოადგინა ავრეთვე 32-ე საშ. სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლემ, ს. კინწორაშვილმა.


ბავშვები დიდი სიყვარულით ასახვევენ მოძველებული ხალხის ცხოვრებას. ასეთია 54-ე საშ. სკოლის მეოთხე კლასელის თ. სიხარულიძის ნამუშევრები „ზაფხულის ქალი“ და კუბელი ხალხის პეიზაჟის ფიდელ კასტროს პორტრეტი. ორიგინალურადაა ჩაფიქრებული მისივე ნამუშევარი „მოსუცი“.

შედარებით ნაკლებად იყო წარმოდგენილი გამოფენაზე ნამუშევრები ქანდაკების დარგში. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან იგი უფრო ძნელი მისაწვდომია ბავშვე-

ბისათვის, ბევრ ტექნიკურ სირთულესთანაა დაკავშირებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყურადღებას იქცევდა ზოგიერთი ქანდაკება, პროფესიული შესრულებითა და კომპოზიციური მთლიანობით გამოირჩეოდა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელების — ფ. ჯაფარიძის „პაპის პორტრეტი“ (ტონირებული თაბაშირი) და „მშედარი“, ნ. შარაშიძის ნამუშევარი „ვეფხვთან შუბმა“. გვაოცებს ვერ კიდევ სრულიად ნორჩი მოქანდაკის მიერ რთული ამოცანის გადაწყვეტა. მამაცი მონადირე მუდგრად უმკლავდება გამძვინვარებულ ვეფხვს. მნახველი გრძნობს მათ შორის გამართულ სამკვდრო-საციცოცხლო ბრძოლის სიმძაფრეს. მონადირის ყოველი ნაკეთი დაჭიმული, მტკვევლია. გრძნობთ, რომ იგი ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვა. ნაწარმოები დასრულებული შემოქმედის ნახვალის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სპორტის თემაზე შექმნილი ქანდაკებებიდან აღსანიშნავია პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წრის წევრების ნამუშევრები: ა. ანთაძის — „უიღობა!“ და ზ. დოჩიძის „კრივი“. მათში ავტორებმა შეძლეს საინტერესო კომპოზიციასთან ერთად მიღწეათ რთული მოძრაობების გადმოცემისათვის.

გამოფენის ბევრ მონაწილეს საკმაოდ საინტერესოდ, დამაჯერებლად გამოუსახავს სხვადასხვა მოთხრობებისა და ზღაპრების საყვარელი გმირები. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ 113-ე საშ. სკოლის მერვეკლასელის მ. მერაბიშვილის, ა. რუხაძის, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წრის წევრების, ი. რევაიშვილისა და გამოფენის ყველაზე



ე. ცაბაძე გოგონა

პატარა მონაწილის, გვეხ წლის ლ. ვარდისანიძის ნამუშევრები.

გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერილი სტრიქონები გამჭვალულია მადლიერების გრძნობით ამ შესანიშნავი ღონისძიების ინიციატორებისადმი, მუზეუმის თანამშრომლებისადმი. იმედია, მომავალში კვლავ ვიხილავთ ასეთ გამოფენებს. ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ტალანტების გამოვლენებს.

ი. კასშიანი

პეიზაჟი





ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი

მ ს ა ხ ი ო ზ ი

ალა გაჩეჩილაძე



უ

ესრულდა 115 წელი ბაბო ხერხეულიძე — ავალი-
შვილის დაბადებიდან. დაიბადა 1849 წელს თავად
ანდრია ხერხეულიძის ოჯახში. მისი ბაბუა, ომან
ხერხეულიძე, მეფე ერეკლეს პირადი მდივანი იყო და
მამინდელ მოწინავე საზოგადოებაში გაელენიან პირად ითვ-
ლებოდა, მაგრამ მთელი თავისი სიმდიდრე ქეიფსა და დროს-
ტარებას გადააღია. გალატაკებულმა ანრისხატის უბანში ორ-
სართულიანი სახლი იყიდა და თავისი ოჯახითურთ თბილისში
გადმოსახლდა. მალე მისი ოჯახი გაჭირვებაში ჩავარდა.

ბაბოს დედა სოფიო, დიდგვაროვანთა შთამომავალი, გა-

ბ. ავალიშვილი ქეთევანის („კონსტანტინე ბატონიშვილი“) და
პატარა კახის („პატარა კახი“) როლებში.



ნათლებული ქალი იყო, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი თავისი ქალიშვილის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმას და მასობრივად გახდომას. დარბაისიელი და ლამაზი ბაბო ყოფილ იჯარში სასურველ სტურად ითვლებოდა, მას „მეკლესის თაბიგის“ უწოდებდნენ.

ოჯახური ხელფარობის გამო, ბაბო მიაბარეს „კეთილმოხილ ასულთა“ ინსტიტუტში, სადაც სახელმწიფო ხარჯზე წყალობდა. ინსტიტუტი 1865 წელს დაათავარა.

როგორც ცნობილია, 1850 წლის 14(2) იანვარს გიორგი ერისთავმა კლავდ აღადგინა ერეკლე მეფის კარის დაბერებული თეატრი, რომლის მსახიობებმა ვაჟაკურად დადეს თავი კარნახის ბრძოლაში. მაგრამ კარიზმის მთავარამართებლებმა საქართველოში და მისმა დამპყვებმა, გიორგი ერისთავს არ მისცეს ვაჟაკანი ამ ერთგული კულტურული საქმიანობის დასაგვირგვინებლად და თეატრი ექვსსაგვარი წლის არსებობის შემდეგ — 1856 წლის ივნისში დაიხურა.

1867 წლამდე ქართულ თეატრს ქომაგი აღარ გამოსჩენია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1861 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ გაბართულ წარმოდგენას — ცოცხალი სურათებით შექსპირის „მეფე ლირიდან“.

1867 წელს, ახალგაზრდობის ინიციატივით სცენისმოყვარეთა წრე ჩამოყალიბდა, რომელიც დიდ დახმარებას უწევდნენ: ანტონ ფურცელაძე, გიგო ორბელიანი, მისი მუდმივ პოტი ნინო ორბელიანი, შაქრო მაღალაშვილი, დიმიტრი ყფიანი, ბაბოს უფროსი ძმა ნიკოლოზ ხერხეულიძე და სხვანი.

1867-1869 წლებში წარმოდგენებს მართავდნენ გერმანელების კლუბში, რომელიც ქირით ქონდათ აღებული, რეპეტიციებს კი სხვადასხვა ოჯახებში. ქართულ თეატრს მსახიობი ჭლები არ ჰყავდა. ამან ბაბო ხერხეულიძეს სცენაზე გამოსვლა გადაწყვიტა. დიდი არისტოკრატიული ოჯახის შთამომავალი პირველი გამოვიდა მამინდელ ქართველ საზოგადოებაში გაბატონებულ აზრის წინააღმდეგ, რომელიც ქალს საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმას უკარბობდა. მისმა გაბედულმა ნაბიჯმა მაგალითი მისცა სხვა ქართველ ქალებსაც. ბაბოს მიზანტყმ ელენე ბროძელი — ანტონოვსკაიამ, ელენე დიმიტრის ასულმა ყფიანამ, გენერალ გიორგი ყაზბეგის დემა. მათ მიყვნი მკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია-ცაგარლისა და სხვანი.

აზრად, ქართულმა სცენამ მრავალი ნიჭიერი მსახიობი ჭლი შეიძინა და ქართულ თეატრს საძირკველი გაუმარტა. ანტონ შვეცილიანს თამაშიად ვთქვათ, რომ ბაბო ავალიშვილი განსაზღვრული ქართული თეატრის უშუალო სულის ჩამდგმელია, მისი დამფუძნებელი, მისი ღვაწლმოსილი დედაა.

1868 წლიდან 1900-ან წლებამდე ბაბო ავალიშვილი თავაპილებით ემსახურებოდა ქართული ეროვნული კულტურის ყვავებას, რაც მისმა ხალხმა ღირსეულად დაუფასა და 1893 წლის 8 დეკემბერს, ქართულ თეატრის დაარსების 25 წლის-საუბრ დაკავშირებით, სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის იუბილ გადუნადა, რომელიც ტრიუმფად გადაიქცა.

ბაბო ავალიშვილს შესრულებული აქვს 200-ზე მეტი როლი. მათ შორის: დესდემონა — „ოტელი“, თამარ მეფე — „რუსთაველი“, ჰენრიეტა — „ორო თბილი“, მაკრინე —

„დიდი მოურავი“, ტურფა — „პატარა კახი“, სიბო — „მტარავალი“, თამარი — „თამარ ბატონიშვილი“, ქეთევანი — „სამშობლო“, მარინე — „და-ძმა“, ემილია — „ყჩაღები“, მარგარიტა — „მარგარიტა გოტიე“, ივლითი — „ურული აკოსტა“ და სხვ. იგი იყო პარტიზონი ქართული სცენის კორიფეებისა: ლ. მუხისხივილის, კ. ყფიანის, კ. მუხისის, ვასო აბაშიძის, მკო საფაროვის, ნატო გაბუნიას და სხვების.

ბაბოს სასცენო მოღვაწეობა მარტო თბილისით არ შემოიფარგლება, იგი გამოდიოდა როგორც ქუთაისისა და ბათუმის, ისე ბაბოს ქართული თეატრის სცენაზეც.

ბაბო ავალიშვილს თეატრის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა. როცა უკვე სახელმწიფოებრივი მსახიობი დ. ერისთავის „სამშობლო“-ში ქეთევანს თამაშობდა, ლევანის როლის შესრულებელმა, მსახიობმა სვიმონ სვიმონისძემ შემთხვევით კმა ხელი და ბაბო იატაკზე თავით დევარტვა. ამის შემდეგ იგი სამუდამოდ დაავადდა, მაგრამ სცენა მაინც არ მიატოვა. ერთხელ, პიესის მსვლელობის დროს სცენაზე გრძობა დაკარგა. ტვიზის დახიანება აღმოაჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ უკლები დაავადებულმა საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც იგი 1900 წლის 23 ნოემბერს გარდაიცვალა. დროთა სულამ დაკარგა მისი საფლავი, მაგრამ დარჩა მსახიობის მიერ განვლილი შინაარსიანი გზა, ღვაწლი და ერთგულება ქართული თეატრისადმი, რომელსაც მაღალიერი მისი სამშობლო არ დავიწყებს.

ვაჭვევებთ ბაბო ავალიშვილის იუბილზე 1893 წლის 6 დეკემბერს წარმოიქმულ სიტყვებს.

ქართული თეატრის უხუცესი მოღვაწის ნიკო ავალიშვილის გამოსვლა:

„სახელოვანო დაო ბარბარ! ჩვენ, უხუცესი და უძველესი შენი ამხანაგები, დიდ ბედნიერად ვივლით თავს, რომ ამ დღეს მოვეწყვართ და გილოცავთ 25 წლის სამშობლო სცენაზე მოღვაწეობას. დიდ მნიშვნელოვანია ეს შენი მოღვაწეობა, რომელმაც ჩვენს თეატრს არსებობის დასაბამი დაუწყვიდრა და მისცა ისტორია. ჯერ კიდევ ნორჩმა, არ მიხვდებოდა საქმის სიძნელეს. ყოველს მის მოუწყოლობას, საზოგადოებისაგან კილვა-ზარხასა, დასთმე კეთილი ცხოვრება და თამაშიდ გამობ-ველი სცენის ეკლოვან ასპარეზზედ საზოგადოების სამსახურისათვის და მას აქეთ მთელი 25 წელიწადი შენი სათნო ხასიათით, უანგაროდ წარველი შრომით, ყოველგვარი საქმის სიძნელისა და მახლობელთა კიცხვის ატანით ის ქნა, რომ დღეს ჩვენ სამუდამო თეატრი გვაქვს და წარმატების გზაზედ იმის თავისუფლად სვლას, შემაფრებელი აღარა აქვს რა. მაშ, ეს დღე, მარტო შენი კი არა, მთელი ჩვენი ერის დღესასწაულის დღეც არის და სწორედ ამით უფრო დიდია შენი ღვაწლი და შრომა.“

ბედნიერია ერი, რომელსაც შენისთანა შეუდრკველი, უანგაროდ, პატიოსანი, წრფელი მუშაკი მიეპოვნა. ამასია მისი ძალა და ამით არის მისი მომავალი სიმედი. გიძღვრით ამ გვირგვინს, გადიდებთ, დაო, და ღმერთსა ვთხოვ, გაიცხადოს მრავალგამიერ, რომ მომავალს მშრომელ მანდილოსანს, თვალწინა ჰყვანდეს სამაგალითოდ და მუდამ აგონებდეს მას, რომ მხოლოდ პატიოსანი გრძნობისა და უანგაროდ, წრფელი გულით

შრომის შეუძლიან საშვილისშვილო ქვეყნის სადიდებელი საქმის გაკეთება“.

ვასო აბაშიძის სიტყვა:

„ქვირფასო დაო და შეგობარო ბარბარე! ჩვენ, თქვენი მეგობრები, ბედნიერად ვთვლით თავს, რომ წოლად გვხვდა დღესასწაულის გადახდა თქვენი 25 წლის სასარგებლო მოღვაწეობისა ჩვენი ქვირფასი სამშობლო სიყენის სიკეთისა და აღორძინებისათვის. ამ მცირეოდენ ქართველ მანდილოსანთაგან, რომელნიც თქვენთან ერთად მოღვაწეობდნენ, თქვენ, ძველი ტრადიციების მიუხედავად, პირველი გამოხვედით ბრძოლად — საზოგადოების ცრუ აზრებისა და არა სანუკვარ შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც მას წმინდა ხელოვნების ასპარეზზედ მოღვაწე ქალთა და კაცთა შესახებ ჰქონდა. თქვენდა ნაკისრები მოვალეობის სინდისიური და ბეჯითი აღსრულებით 25 წლის განმავლობაში და ამხანაგებთან წრფელი სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვებით, ცხადად დაამტკიცეთ, რომ არ ტ ი ს ტ ი და ა დ ა მ ი ა ნ ი ერთმანეთისაგან განუყრელი უნდა იყოს და ერთს მთელ არსებას შეადგენდნენ. თქვენ, სახელოვნათ გაიარეთ არტისტის ძნელი და ცკლოვანი გზა და ზეადმართვით გვჭირათ დროშა ამ დღეიწით: მამულის სამსახური საუკეთესო ტალანტია!

მას იცოცხლეთ მრავალქამიერ მომავალ თაობათა სამაგალითოდ და სამოდლებრებლად“.

მარინე — ბ. ავალიშვილი („და მშა“)



პალო იაშვილის დაბადების 70
წლისთავის გამო

პ
ო
ე
ტ
ი
ს

შ
ც
ნ
ო
ზ
ი

ლ
ე
ძ
ს
ი

სოფიო გველესიანი

ს

ამდვილად გამიღიმა ბედმა, როცა საჩხერეში მივლანები-სას, ერთ შესანიშნავ ადამიანს გავეცანი. ეს არის სოფიო ნიკოლოზის ასული დგებუაძე, ჩვენი დიდი აკაკის უახლოესი ნათესავის ვასილ დავითის ძე წერეთლის მეუღლე. სოფიო დგებუაძე ამჟამადაც სხვიტორში ცხოვრობს, მაგრამ მუშაობს საჩხერეში, სადაც რუსულ ენა-



სა და ლიტერატურას ასწავლის. აქ იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, მასთან ბევრი მოდის, ეკითხებიან, რჩევას თხოვენ...

ამაღდარი პედაგოგი სათუთად ინახავს თავის უამრავ წიგნებს, ფოტოებს, ჩანაწერებსა და საბუთებს, რომლებშიც ასახულია არა მარტო ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, არამედ ყოველი ჩვენთაგანისათვის საინტერესო ამბები და მოვლენები. მათ შორის არის მკითხველისათვის დღემდე უცნობი ერთი ლექსი — ექსპრომტი ჩვენი სახელგანთავს პოეტის პაოლო იაშვილისა.

აი, როგორ მოვხვდი სოფიო დგებუაძესთან ერთ-ერთ არქივში პიოტ. ვ. შადურმა აღმოაჩინა ცნობილი ქართველი მწერლის რაფიელ ერისთავის შეტად საინტერესო წერილი, რომელშიც ავტორი ირწმუნება, რომ საჩხერეში თავად ალექსანდრე წერეთელს ჰქონია გრიბოედოვის უკვდავი კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ პირველი ხელნაწერი. მწერლის შუღლეს ნინო ჭავჭავაძეს თვით რაფიელ ერისთავის თანდასწრებით უთხოვია ალექსანდრე წერეთლისთვის — რამდენიმე დღით მათხოვე ეს ხელნაწერიო, მაგრამ ალ. წერეთელს უარი უთქვამს, რომ მიუხედავად, უკვე აღარ მაქვსო ეს ხელნაწერიო.

მე ვიცოდი ყოველივე ეს, ამიტომაც წავედი საჩხერეში, რათა მომძებნა ეს ხელნაწერი ან, ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივი საზოგადოების ყურადღება მიმძებნა ამ ფაქტისადმი. სწორედ ამ დროს გავიცანი სოფიო დგებუაძე, რომელმაც სიამოვნებით მომცა უფლებმა პირველად გამომეცხვენებია ლექსი — ექსპრომტი „სამეგრელოს ასულს“, რომელიც მის მიუძღვნა პაოლო იაშვილმა. ამის შემდეგ ბუნებრივია, სისარულით

გავმეზაჯერე პოეტის მშობლიურ სოფელ არგვეთში, რომელიც შევიდიდე კილო-მეტრითაა დაშორებული საჩხერეს. უპირველეს ყოვლისა, მსურდა შენახა სახლი, სადაც დაიბადა პაოლო იაშვილი.

იაშვილების ოჯახი ჯერ კიდევ პოეტის ბავშვობისას გადასულა ამ სახლიდან. იგი იმ წამსვე დაუკავშირდა მათ უახლესს ნათესავეს, რომელთანაც პოეტს ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. ამ სახლში ამჟამად ცხოვრობს პოეტის გადია, ოთხმოცდაათი წლის ივლიტე, რომელიც არაერთხელ არის ნახსენები პოეტის წერილებში. მოხუცი გადიასათვის პაოლო ახლაც ბავშვია, ბავუვი რომელსაც თვალყური უნდა ადევნოს, რომელსაც უნდა გაუფრთხილდეს...

სახლს ახლაც ეტყობა პოეტის პიროვნების ანაბეჭდი. კედელზე პაოლოს მიერ მოკლული ირმის თავი ჰკიდია. სხვას ვეხება გადავადო იგი, მით უმეტეს რომ დრომ საკმაოდ დააზიანა, მაგრამ მოხუცი გადია ვერ ამჩნევს როგორ იცეითება ეს მისთვის ესოდენ ძვირფასი რელიქვია.

მოხუცი ივლიტე მიჩვენებს ორ წიგნს, ეს პაოლოს ლექსების კრებულებია, რომლებიც ახლახანს გამოიცა. იგი მისთვის ურუქებია პოეტის ქალიშვილს. გადია თითს სათუთად აყოლებს მტრიკონანებს, ამაყობს წარწერით: „ჩემს კარვ, საყვარელ ივლიტეს, მამაჩემის გამზარდელს, მის მეორე დედას — მედეასაგან“.

რა თქმა უნდა, მოხუცმა გადიამ იცის, რომ ამ დღეებში მთელმა საქართველომ აღნიშნა მისი გავრდილის იუბილე. ეს ძალიან ახარებს მას, ახარებს რადგან, როგორც თვითონ ამბობს და (არც უნდა ცდებოდეს) ალბათ წესრიგში მოიკვანენ სახლს, რომელსაც ბევრი რამ აკავშირებს

პოეტთან. ყველაზე უფრო კი, ჩემთვის... მის გულს, რომ სახლი კვლავა ჩვენივე... და პატივისცემით იხსენიებს პაოლოს...

იმედია, რომ მომავალში ჩვენი გამომცემლები უფურადღებოდ არ დატოვებენ პაოლო იაშვილის იმ ლექსს, რომელიც ჩვენ გადმოგვცა სოფიო დგებუაძემ. აი ისიც:

ქუთაისი. დეკემბერი 1914 წელი.

სამეგრელოს ასულს

მე ყველასათვის მსურს სიხარული, ხალისი, ღიანი, ბედნიერება, ღიანში იზრდება და იფრქვება ყოველ მლოერი მშენიერება. და სამეგრელოს ტურფა ასულსა ეუსტრეკს მხოლოდ მწიფარ ხალისსა, ვიცო რომ ღუნა არის სურვილი და მისწრაფება ყველა ქალისა.

3. იაშვილი

ინტერესსმოკლებული არ არის ისტორია ამ რვა სტრიქონიანი ექსპრომტისა, რომელშიც ადვილად იცნობა პაოლოს „ხელი“, მისი შიური ოპტიმიზმი-სოფიო დგებუაძე ამ დროს, ე. ი. 1914 წელს გიმნაზიის მეოთხე თუ მეხუთე კლასის მოსწავლე იყო. ახალგაზრდა პოეტმა პაოლო იაშვილმა ნახა მისი ალბომი და სამახსოვროდ თავისივე ხელით ჩაუწერა იმ წამს შეთხზული ეს ექსპრომტი.

ცნობილია, რომ პაოლო ექსპრომტების შესანიშნავი ოსტატი იყო. ეს დავიდასტურა ჩვენმა ცნობილმა კრიტიკოსმა ბესო ელენტამ. როცა ეს ლექსი — ექსპრომტი გავაცანი, ბ. ელენტამ თქვა, რომ პაოლოს ექსპრომტები ისადავოდა სწრაფად, ბუნებრივად და ისინი თავიანთი ხარისხით ყოველთვის მაღლა იდგნენ ამ ხასიათის ჩვეულებრივ ნაწარმოებებთან შედარებით.

დ. ზარაფიშვილი

ქართული პეიზაჟი





წ. ფალიაშვილის სახ. მეორე მუსიკალური სასწავლებლის სავენდო-სადირიგორო განყოფილების მოსწავლეთა კონცერტზე.

ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო კ ო ნ ც ე რ ტ ი

ქოყარტის „რექვიემი“ მოსწავლეთა ძალებით — ასეთი აფეთქებით დასრულდა კონცერტის წარმოება. ეს ხომ საუფრო ლტეხილავია ურთულესი წარმოება, რომლის შესრულებას პროფესიული კოლექტივებიც კი უკუდგებიან ვერ შედეგად. წარმოება იმდენად სრულყოფილია, რომ იგი უნდა შესრულდეს მხოლოდ უმაღლეს დონეზე.

აი რატომ მიიღო გახდული და საბრო ღონისძიების სახე მეორე მუსიკალური სასწავლებლის საუნდო-სადირიგორო განყოფილების ძალებით მოყარტის — „რექვიემი“

მის“ შესრულებამ. ორი წლის წინათ, იგივე „რექვიემი“ დიდი ენთუზიაზმით აქნა შესრულებული კონსერვატორიის სტუდენტთა ძალებით. შესაძლოა, სწორედ მაშინ წარმატებამ შეახსოვრა მე-2 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგებს ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა. შთი უფრო, რომ ზოგი მთავარი გერკიდე ორი წლის წინ თვით იგი „რექვიემის“ შესრულების უშუალო მომხრე იყო.

წ. ფალიაშვილის სახლობის მე-2 მუსიკალური სასწავლებლის საუნდო-სადირიგორო განყოფილება სულ რამდენიმე წელია არსებობს. მას ხელშეწყობის საუნდო მუსი-

კის დიდი ენთუზიაზმი რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი გრიგოლ კანაძე ეხმარება. რომ საქართველოს მრავალსაუბროანი საუნდო ტრადიციების განვითარება და გაგრძელება უპირველეს ყოვლისა, დაეკვირბებოდეს მაღალპროფესიული კადრების მომზადებასთან. ეს კი იწვევს სწორედ სასკოლო ასაკიდან, და თუ მუსიკალურ სკოლებში (რომ არაფერი ვთქვათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე) საუნდო სპეციალური დაეყენება გაუმჯობესების სურვილს იწვევს. ამ მხრივ სამაგალიოდ შეიძლება შეიზინოთ მე-2 მუსიკალური სასწავლებლის მთელი მუშაობა.

„რექვიემის“ შესრულებაში მონაწილეობა მიიღეს საუნდო განყოფილების მოსწავლენმა (და არა მომღერლებმა), თუმცა გუნდის შემადგენლობა გაიზარდა საქართველოს სახელმწიფო კაბელის რამდენიმე შემსრულებლით, მე-4 კურსის დირიგორო-სტუდენტებით და სოლისტებით (სასწავლებლის პედაგოგი ი. ხაჩატუროვა, ოპერის სოლისტი ნ. ნაბიაშვილი, კაბელის სოლისტები ს. სტეპანოვა და ნ. ბორისოვი) კონცერტისტიკურები — ტ. პეიისი და გ. შერბინიანი. წარმატება ორივე საკონცერტო საღამოსი — სასწავლებელში და კონსერვატორიის მცირე დარბაზში — ხაზებით კანონიზირდა იყო. იგი შედეგია იმ დიდი ენთუზიაზმის და მუშაობის, რაც ჩაატარეს გუნდის ხელმძღვანელმა — დამს. პედაგოგმა გ. კანაძემ და პედაგოგებმა ლ. აბაშიძემ, გ. ცოხიაშვილმა, მ. მამიშვილმა, ნ. მწიფლიანმა, უფლა დირიგორი — ი. პილიპოვა, ნ. პატარია, ვ. კვიციანი, ე. ვედიკიძე, ლ. ბერძენი, ე. ბერძენი, მ. ხაჩატური, და კაცელია გამორჩეული მუსიკალური და პროფესიული ხელოვნების მთავარი მხარდები. დირიგობის ატენია უფრო თავისუფალი და შეკეთილი, ზოგი კი უფრო წარმოებით, შენაგან მოსმენის იერაღობა, ყოველივე ის რაც თუ მისი არსებობა, მთავარია ის, რომ უფრო მთავარსადაც ის სასწავლო ღონისძიება იყო. პირველი პროფესიული ნაბიჯი თუდ სტენაზე და ამიტომ წავლანაგებდა, რომედ უნდა თან ახლდეს შესრულებას, თავისთავად უფროსდება ამ უტყარეს შედეგებით, რომ მე-2 მუსიკალური სასწავლებლის საუნდო-სადირიგორო განყოფილების ძალებით დაიდა მოყარტის „რექვიემი“.



ცნობილია, რომ საბჭოთა თეატრი განზოგადდა და მისი ტური მრავალფეროვნებისკენ ისწრაფვის. დღეს ჩვენს თეატრებისათვის საჭიროა როგორც კომედია და ოპერეტა, ისე დრამა და ტრაგედია. დღევანდელ ადამიანს იზიდავს ახალი თვალთ დანახული ისტორიული პიესაც და ჩვენი ზეალინდელი დღის ხელშეხახები ფანტასტიკაც.

მუსიკალური კომედიის თეატრს თავისი არსებობის ოთხი ათეული წლის მანძილზე ბევრი სიმწველე შეხვედრია, მიუღია დამსახურებული ქებაც და შენიშვნებიც. ამ თეატრის ძირითადი ჯიშის მუსიკალური კომედია და ოპერეტაა. ტექსტუალურ საფუძვლად იგი კომედიურ ლიბრეტოებს იყენებს, ე. ი. დრამატული ნაწარმოების ისეთ სახეობას, სადაც კონფლიქტი კომედიურადაა გადაწყვეტილი, ან ანტაგონისტურ პერსონაჟებს შორის ბრძოლაა.

თეატრის მთავარი მიზანი, ისევე, როგორც სხვა თეატრების სარეპერტუარო მიმართულების მაგისტრალური ხაზი, თანამედროვეობის ასახვაა, საბჭოთა ადამიანების ღრმა ინტელექტუალური და რომანტიკული სამყაროს ჩვენება. ამას ამტკიცებს მუსკომედიის თეატრის მიმდინარე რეპერტუარი და ის ლიბრეტოები, რომლებიც ჩვენს ხელთ არის.

ამ ბოლო დროს განსაკუთრებულად იგრძნობა თეატრის სწრაფვა საინტერესო რეპერტუარისაკენ. იგი მიმართავს როგორც ორიგინალურს, ასევე თარგმანის და კლასიკურ დრამატურგიულ ნიმუშებს.

თანამედროვეობის თემის ამსახველი პიესებია: ნ. ხუნწარას — „შესანიშნავი სამეფო“, „სიმღერა თბილისზე“ და „მეკარე“, ლევან ჭუბაბრიას — „სამი უფროსის მსახური“ და „მხოლოდ შენ ერთი“, თ. რაზმაძისა და ნ. მახარაშვილის — „ორი ქალიშვილი“, ლ. ჭუბაბრიასა და რ. ებრაღიძის — „მეგობრები“, პეტრე გრუზინსკის — „აბლაბუდა“ და სხვ.

ამ პიესების უმრავლესობა, დრამატურგიის თვალსაზრისით, სრულყოფილი არ არის, მათი ნაკლი თემატიკის პრიმიტიულ ერთფეროვნებაშია, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისა და ოჯახური თემით ისაზღვრება. ავტორები თავიანთ შესაძლებლობებს არ ცდიან საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების წამოჭრაში.

კომედია მსუბუქი ენით როდია, იგი მეტად რთული, სერიოზულია და ემსახურება იმავე მიზანს, რასაც დრამა და ტრაგედია. განსხვავება იმაშია, რომ კომედიის პერსონაჟთა დაპირისპირებას მოჰყვება სავალალო შედეგი მოწინააღმდეგე მხარეებისათვის, და სიტუაციები პიესაში იუმორისა და სატირის საშუალებით ვითარდება.

წარმოდგენილ ლიბრეტოთა ავტორებს ყოველთვის არ შესწევთ უნარი, განაზოგადონ კერძო, ეს კი დიდად საგულბისმიო უნდა ითქვას, რომ თეატრი ცუდად იქცევა, როდესაც მხარე უკერს დრამატურგებს, რომელთაც შეღავათები სჭირდებათ. ემზარება მათ თავიანთი გამოცდილებით, პიესებზე სერიოზული მუშაობით. საჭირო არ არის ავტორების მიმართ ზედმეტი ლიბრეტოების გამოწევა, დრამატურგის მხარდაჭერა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნიშნავდეს შერბილდეს პიესის მიმართ მომთხოვნელობა. სწორი არ იქნება, თუ მი მოტივის გამო, რომ ავტორი დამწყები და ახალგაზრდა მოყვრილით პიესის სერიოზულ, მომთხოვნე კრიტიკას. ასეთი პრაქტიკისაგან ხელი

ქართული მუსიკალური კომედიის თეატრის რეპერტუარის შესახებ

ნინო შენგერაძე

ასო ამაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის ნიჭიერი და კვალიფიციური შემოქმედებითი კოლექტივი ყავს. აქ დღითიდღე მოდის ახალ-ახალი შემოქმედებითი ძალები, რაც განსაკუთრებით სასიხარულოა, და ამ თეატრის განუხრეულ ზრდაზე მიგვიითებს.

ამ წერილში ძირითადად გვჭერს ვილაპარაკოთ, თუ რა წვლილი შეაქვს ქართული მუსიკალური კომედიის თეატრს ჩვენი თეატრალური კულტურის წინსვლასა და განვითარებაში, როგორ წყვეტს იგი რეპერტუარის საკითხს.



უნდა ავიღოთ, რადგან იგი არ ემხმარება დრამატურების ოსტატობის ზრდას, რომლებიც ისეთ ახალგაზრდა და რთულ განზრდილ მუშაობებზე, როგორიცაა ქართული საბჭოთა მუსიკალური კომედიისა და ოპერეტის დრამატურებია.

როგორ მკაცრადაც არ უნდა მოვეყვითო დღეს რეპერტუარის საკითხს, ერთი უდავოა: ამ თეატრს ყვეს კარგი მსახიობები, კომპოზიტორები, რეჟისორები. ეს არის საინტერესო შემოქმედებითი კოლექტივი, რომელსაც არა ერთხელ უსახელებია თავი. თეატრი ისწრაფვის ეროვნული ხელოვნების აყვავებისათვის, რაც მტკ დახმარებასა და გულისხმიერებას მოითხოვს.

რეპერტუარის მხრივ მუსიკალური კომედიის თეატრი ბოლო ხანებში სიფრთხილესა და პასუხისმგებლობას ამჟღავნებს. ქართველ ავტორთა ნაწარმოებებთან ერთად იგი ახორციელებს თანამედროვეობის თემაზე დაწერილ ისეთ პიესებსაც, რომლებიც ყურადღებას და მოწონებას იმსახურებენ. მაგალითად, მერაბ მატყუნის მიერ აქტუალურ თემაზე შექმნილი ოპერეტა „ჩანჩიტას კოცინა“, გულწრფელად შეიყვარა ქართველმა მაყურებელმა.

საერთოდ კლასიკური ოპერეტისათვის დამახასიათებელი რეალიზმი და სატირა. უფრო გვიანდელ ოპერეტებში გასართობმა შედაპირულობამ და ბურჟუაზიულმა უმასობამ იჩინა თავი. ყოველივე ეს არ უნდა დაგვავიწყდეს საბჭოთა მუსიკალური კომედიისა თუ ოპერეტის დრამატურების შექმნას. საბჭოთა ოპერეტას უნდა ჰქონდეს აქტუალური რეალისტური შინაარსი და იყენებდეს ხალხური და მასობრივი სიმღერების ეანრებას და ინტონაციებს. ამ მხრივ შევიძლია მოვისმინოთ ნ. ზუნწარას ლირიკული ოპერეტისათვის — „მეკარა“, რომელმაც არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის სახელგერებს გარეთაც მოიპოვა აღიარება.

ლირულ-სატირული სიუჟეტური ხასიათა. იგი ქართველ ფეხბურთელთა ცხოვრებას ეხება. მასში გაკენწილია ადამიანები, რომლებმაც დღემდე ჯერონად ვერ შეიგნეს სპორტის მნიშვნელობა და მისი როლი ხალხის ცხოვრებაში. ლირიკული ავტორი აკრიტიკებს ისეთ სპორტსმენებს, რომლებიც თავებრუდახვეულები არიან წარმატებისაგან. პიესაში სხვა საინტერესო საკითხებზეც არის წამოჭრილი: მეგობრობა, ნამდვილი ინსიყვარება. როგორც ვხედავთ, ასეთი ნაწარმოების განხორციელება სტენდის მისასაღმებელია. სპორტის თემა, დღეს ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში გაბედულად შემოვიდა. იგი საფუძვლად დაედო ბევრ საინტერესო კინოფილმს, დრამატულ სპექტაკლს. აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების დიდი ნაწილი კომედიური ფორმითაა განხორციელებული, რამაც განაპირობა მუსიკალური კომედიის თეატრის სწრაფვაც.

რა თქმა უნდა, მარტო თემატიკა ვერ განსაზღვრავს წარმატებას. მით უფრო, როდესაც ასეთი თემა დიდ ცდუნებას ქმნის გასართობი და სანახაობითი მხარის გასაკვიარებლად. და მართლაც, ლირიკური არ არის დაზღვეული ასეთ ცდუნებაგან. მასში ყველგან მტკად ძირითადი დრამატურული ხასის გამოკეთებლობა და სხვა სიუჟეტური ხასების არც თუ ორგანული მთლიანობა შეიმჩნევა.

ლირებტოში, ჩვეულებრივ, ტრადიციული, საოპერეტო-სა-

სიყვარული ინტრიგებია. მაგრამ ყველა ლირებტოში მათგან ნიშნობა მოსაბურთელი ხელოვნრობის შიამაქმნილობას ქმნის. დრამატურეი ზედმეტად იყენებს მხოლოდ სიყვარულისათვის გამიზნულ სხვადასხვა დიალექტს კომედიის გმირების ხასიათების დამუშავების ხარჯზე. უფრო ხშირად ასეთ სახეების არ გაანართი ინდივიდუალური თვისებები, ადვილად გადაიდა ერთი პიესიდან მეორეში. ასეთია, მაგალითად, — ლევან ზუნდაძე — „მეკარეში“, მიხეილი — „შესანიშნავი სამკულში“, დიმიტრი ჭკუასელი და ნიკო ნაშორაძე — „ორ ქალიშვილში“.

აღსანიშნავია სპექტაკლ „მეკარის“ აქტიორული მხარის სიძლიერე, მსახიობი ე. ჩოხელი ცნობილია შესრულების სისადავითა და დამაჯერებლობით. ასეთია იგი აქაც. მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა ვ. სალარიძე, ვ. იანვარაშვილი. ი. ჭუთათელაძე, რომლებსაც საიმედო ძალად ამოდგომიან გვერდით ნიჭიერი ახალგაზრდები, როგორებიც არიან: თ. მერკულიაძე, თ. ხელაშვილი, ზ. კახიანი, ი. ვასაძე და ლ. ჩიხლაშვილი.

„მეკარის“ ავტორსავე ეკუთვნის ოპერეტა „შესანიშნავი სამკულის“ ლირებტო. ნ. ზუნწარია თავიდანვე გვაცნობს მთავარ გმირებს და საღებავებს არ იშურებს, რომ მაყურებელს შეაყვაროს ისინი, მაგრამ დასაწყისშივე ისეთი გაუგებრობები იჩენს თავს, რომ რთული ხდება თავის გაართმევა. ამ გაუგებრობებზე აღმოცენდა არა ერთი კონფლიქტი, და როგორც პრესასამართლიანად აღნიშნავდა, გაჩნდა ნაცნობი მთავარი სიტუაციები, პასაჟები; პერსონაჟები რაღაც საოცარ გაუგებრობათა ბადეში იხლართებიან და ბოლოს ეს ბანალური სატრეპილო თევადასაულებრი კეთილად მოაგვრდება.

ამ დახალართულ კომედიაში ძნელია გამოკვეთოთ თემაზე და იდეაზე ლაპარაკი, მაგრამ ენარის ვადაწყვეტის საშუალებები კი ნათელია, — იგი მიღწეულია გარგვნილი კომიზმით ე. ი. მდგომარეობის კომიქში. პერსონაჟები მტკად ამტკიურად არიან ჩაბმული კომედიის მოქმედების განვითარებაში.

თუ კვებრი მშობლებისგან მალულად თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს და ამით ავტორს სურდა ეთქვა, რომ მიუვლები შვილის პროფესიის არჩევაში ობიექტურეი უნდა იყენენ, ხელი უნდა შეუწყონ ახალგაზრდის ნიჭიერების გამოძივნებას, მაშინ ეს იდეა უნდა ყოფილიყო თავად ბოლო პიესისა და ამდენი ხლართავი საჭირო აღარ იქნებოდა; ამავე დროს, ვიგარქნით ავტორის გაორებაც. იგი მტკად აქტუალურ ტექსტს აძლევს სიმპათიურ კოლმუნერ მამას, რომელიც იმისათვის ზრუნავს, რომ მისმა ვაჟმა სოფლისათვის ივარგოს, „მე ჩემი სოფლის მიწა მარტო გულზე დასაყრდელად კი არ მინდა, კარგი მოსავალი მინდა ენახო. ვინც სასწავლებლად წამოვიდა თბილისში, სოფლად აღარ ბრუნდება. მარტო მოხუცები რას მოჰყვლით სოფელს. პო აღ, არ მინდა ჩემი შვილი მათ გზას გაყვეს. ერთი აგრონომი კი სჭირდება ჩვენს სოფელს“. აი, მტკუნეული საკითხი, რის დაყენების საჭიროებას გრძნობს ავტორი, მაგრამ მას არავითარ განვითარებას არ აძლევს. მომიტკვოს ლირებტოს ავტორთა თუ პირდაპირ ვთქვათ, რომ ამ მტკად საჭირო თემს და აქედან გამომდინარე იდეას მან თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა და მსახიობობისათან დაკავშირებულ კონფლიქტში იმიტომ ამკობინა, რომ ეს უფრო



შტ მოშვებები მათსა აძლევდა მას სანახაობითი მხარის გასაწვავად.

ავტორი რომ გააყოლოდა დასახელებულ თემას, იგი შტ საშუალებებს შექმნიდა ლიბრეტის ორიგინალურად აგების და სცენიურად გადაწყვეტისათვის.

სექტაკლში გამოირჩევა ისეთი კარგი აქტიური ნამუშევრები, როგორცაა: გ. ბეგალიშვილის — კუკური, ი. ვასაძის — დომეტი, ვ. იანაძის — თეო.

ლევან ჭუბაბიას კომედია — „სამი უფროსის მსახური“ საინტერესო თემაზეა აგებული. პატრიარქ კაცს, ოჯახისათვის დაედებულ მამას, არ სურს დაარღვიოს საზოგადოებრივი ნორმები, მაგრამ გაიძევრა ადამიანები აიძულებენ მოიქცეს ისე, როგორც მათ აწყობთ. ავტორმა გამოცდილი შეურლის ალღოთი ასახა კონფლიქტები და ხასიათები, შეუხ მრომისადმი დამოყიდვებებს. მას ესმის, რომ თანამედროვე კომედიის მიზანს ჩვენი ცხოვრების უარყოფითი მხარეების მიღება შეადგენს. დრამატურგმა ამ პიესის თეატრში მოიტანა ახალი სახეები, უშუალოდ, სითამამე, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხები დასვა და, რაც ამ თეატრისათვის დიდად საკუთარსაა, უარყო შეტყობები.

ჩვენი ზრით ქართულ მუსიკალურ კომედიებს შორის „სამი უფროსის მსახური“ — ერთ-ერთი საკულისსმომ ნაწარმოებებია. მაგრამ არ შეგვიძლია არ შევინიშნოთ პიესის კონფლიქტისა და ზოგი სახის სექსუალური. ცალკეულ გმირს ავლია სრულყოფა, ზუსტი ჩამოყალიბება, ამიტომ მაყურებელს უძნელდება გაერკვეს მათ რაობაში — დადებითია იგი თუ უარყოფითი. ასეთია არჩილი, ავტოინსპექტორი, დალინიკას ქალიშვილი, ეგვიპტა კალისტრატოვსა სიდედრი. დრამატურგის ბოლომდე არ ყოფნის ძალა შესაფერის მხატვრული ფორმით განახორცილოს კარგი იდეური ჩანაფიქრი. ზოგ სახეს ავლია მხატვრული ხალხები. მაგრამ ერთი უდავოა: აქტუალურ თემაზე დაწერილი ამ კომედიაში ლევან ჭუბაბიამ გარკვეულ წარმატებას მიადგინა.

მძლოლი ნიკა დიდი სცენური მომზიდველობით განახორცილა მსახიობმა ა. ტურიაშვილმა. მან თავისი გმირი მეტად დამაყურებელი რეალისტურად. საღებავებით წარმოსახა. მძლოლი დავაგაბასოვთან, როგორც ზედმიწევნით კეთილსინდისიერი, თავდადებული და უაღრესად პატიოსანი ადამიანი.

ნიკას საწინააღმდეგო მისწრაფებებია და მორალის ადამიანთა ბიძინა გრიგორიანი, რომელსაც მსახიობი თ. ბახტაძე ასახიერებს. მაყურებელს ამასობაობდა საკუთარი კეთილდღეობისათვის მხრუნველი, განდიდების მინითი შეყარობით, თვითნება ბიძინა, რომლის დამაყურებელი სახე შექმნა ახალგაზრდა მსახიობმა.

თუ ლიბრეტო მშოლოდ მიგვანიშნებს: საოპერეტო განრში მტკილად ფეხმოციდებულ ცნობილი სიტყვიებზე, სამაგიეროდ, ი. რაზმაძის და ნ. მახარაშვილის „ორი ქალიშვილი“ მვეთრად ატარებს ძველი ხეჩრების რესტავრაციის ნიშნებს.

ხელოვნების ვერცხრით დარგი ვერ ითმენს ძველის მექანიკურ განხორცილებას, რის შედეგადაც წარმოიქმნება ტრაფიკები. ის, რაც ძველად ზოგჯერ მაყურებლის გულწრფელ ემოციებს იწვევდა, ახლა მშოლოდ ირონიულ განწყობილებებს ქმნის. ეს ეტება მუსიკალური კომედიისა და ოპერეტის თეატრალურ პი-

რობითობასაც, ეტება იმ თეატრს, რომელიც თითქმის უფრო ნაკლებ ემორჩილება დროის ცვლილებებს. ყველაფერ განსახილვება სცენიდან გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე. შედის ყოფნაში, უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ქცევაზე, მის გემოვნებაზე.

„ორი ქალიშვილი“ მცირესიუვეტიანი კომედიაა. პროფესორის მანქანის მძლოლი კიკალო ექიმად მიიღეს, ავტობუსოსანი — პროფესორად, ქარაფშუტა ციური დედის ხელშეწყობით პროფესორის ოჯახის რძობაზე ოცნებობს და ა. შ.

ლიბრეტოში არ არის მოცემული მოქმედ პირთა განვითარების ხაზი. ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ციურის — დედის აღწრით განვითარებული და დამოუკიდებლობის შეურეველი ქალიშვილის სახის გამოკვეთაზე. მაშინ ნათელი გახდებოდა ამისთვის — ბრძოლა მშობლის წერილი, ობიექტულური ინტერესების წინააღმდეგ მთავარი ის კი არ არის, თუ როგორ ადვალათივთ სიუვეტს, როგორ გაეზრდით შემთხვევითობებისა და გაუფერობისა რაოდენობის, არამედ ის, თუ რამდენად ლოგიკურია ეს გაუფერობა და რამდენად ემსახურება გონივრულად მოფიქრებულ იდეას.

თეატრალურ ხელოვნებას გააჩნია ადამიანზე ზემოქმედების განსაკუთრებულად მძაფრი ასპექტიუკური საშუალება. და ამიტომ სცენა ღრმად უნდა ნერგავდეს ხალხში ჯანსაღ იდეებს. ეს არის საშუალება ადამიანთა სულიერი სამყაროს გასუფთავებისა წარსულის ყველა გადმონაშობისაგან, მისი სწორი ორგანიზაციისა და წარმართვისათვის. უნდა აიწინადიროს ჩვენი თეატრის ყოველი შემოქმედებითი ნაბიჯი სწორედ ამ დიდი ესთეტიკური მოთხოვნების შესაბამისად.

გაიზარდა ჩვენი ხალხის კულტურული მოთხოვნობა. ეს ზრდა წინ სწევს ჩვენს ხელოვნებას. ეს მოთხოვნობა კი ჩვენი ადამიანებისა და მაყურებლისა, არის საზომი, რომლითაც უნდა მივუდგეთ ხელოვნების მიღწევებს.

დღეს ჩვენი ხალხი თეატრალური ხელოვნებისაგან მოითხოვს, რომ ეს აქტუალურად, ცხოვრად ემსახურებოდეს თანამედროვეობის დიდ მოვლენებს, დიდ ძვრებს, რაც დღევანდელი ადამიანის გონებრივ და სულიერ სამყაროში ხდება.

და რიცა ქართული თეატრების მუშაობის შეფასებას ამ თვალსაზრისით ვუდგებით, დაუწყაყოფილებლობის გრძობას იწვევს ჩვენი დრამატურგიის თემალ სექტატობის ქცევა და ქართული მუსიკალური კომედიის თეატრში მისი წარმოცდგა. ქართველი ხალხისათვის, მისი ინტელექტუალური ცხოვრებისათვის არასდროს არ წარმოადგენდა სამომრეობას არამედ თუ სექტატობა, მთელი ქრისტიანული რელიგიაც კი, რომელსაც იგი ოდითგანვე არა მარტო გარკვეული პროტესტანტული თვალსაზრისით უდგებოდა, არამედ ცდილობდა ქვეყნის წინსვლისათვის გამოეყენებია. სექტატობა არც ყოფილა და არც არის ადამიანთაობული ქართველი ხალხისათვის. შეიძლება მართლაც არ არის სიმართლები მოვლენის, არის რაღაც მეტად უმნიშვნელო ნაწილი ქართველობისა ვარდებოდეს ამ წუხმში, მაგრამ მისი განზოგადება და ხელოვნების საგნად ქცევა ვერაფრითაა გამართლებას ვერ ბოლოებს. გვეკრ, რომ არსებობენ ასეთი რგულები, სადაც გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა ეროვნების ნაძარღვები, მაგრამ იგი ხელოვნების მსჯავლობის საგნად ვერ იქცევა.



ქართველთა
წიგნების კავშირი

დასაწინაა, რომ ქართული მუსიკალური კომედიის თეატრის სცენიდან სექტანტობის თემაზე „აბლაბუდას“ სახელწოდებით აედგრა კომპოზიტორ სულხან ცინცაძის შესანიშნავი მუსიკა. სამწუხაროა, რომ ნიჭიერი კომპოზიტორის მაღალხარისხიანი დებიუტი მუსიკალურ კომედიაში და ჭეშმარიტად კარგი აქტიორების შესაძლებლობანი ასეთი მდარე ხარისხის ლიბრეტოს გარშემო დაბანდდა.

მართალია, ყოველი პრემიერა არ გულისხმობს თეატრის უპველ წინსვლას, მაგრამ საჭირო დასკვნების გამოტანა კი აუცილებელია.

დასასრულს, ერთელ კიდევ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული მუსიკალური კომედიის თეატრისათვის უმთავრესი მტკივნეული საკითხი სრულფასოვანი თანამედროვე ქართული ლიბრეტოს უქონლობაა. არ არის ახალი, ცოცხალი თემები. დღეს ხელოვნების ყველა დარგში ახალი შინაარსის გამომსახველი ფორმების ძიება და ამიტომ ჩვენი სურვილია ეს ძიებანი მუსიკალური კომედიისა და ოპერეტის ლიბრეტოებსაც შეეხოს.

თეატრმა უნდა იზრძოლოს უკეთესი თეატრალური მუშაობის წესები და თანამედროვეობის ასახვისა არ ნიშნავს, რომ თეატრი თემატიკის გამო დაბალი ხარისხის დრამატულ ნაწარმოებებს დახარბდეს. სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად ტამს ვუკრავთ უფურულსა და იაფუფასიანს.

ქართული საბჭოთა მუსიკალურ თეატრს ჯერ არ შეუქმნია სრულფასოვანი კომედია, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ძველ, უვარების სახეებისა და სიტუაციების მიზაძვას, ძველი სიუჟეტური სქემების გამოყენებას. წარსულის გმირები იცვლებიან საბჭოთა გმირების სახელებით, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ ძველი სიტუაციები და მოტივები.

საჭიროა ჩვენი თეატრის რეპერტუარი გამდიდრდეს სიუჟეტური კომედიებით, და თუ თეატრი თავის რეპერტუარში განამტკიცებს მხატვრულად სრულყოფილ საექსპლექტებს, მაშინ მაღალფენობიანი მყუდროებით, რომელიც დღეს მუსიკალური კომედიის თეატრის არც თუ ისე ხშირი სტუმარია, ამ თეატრის მუდმივი და გულწრფელი მყურებელი გახდება.

არქეოლოგიური ძეგლები საირხეში

ჯურხა ნადირაძე



საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამოფენილია ანტიკური ხანის რამდენიმე ღირშესანიშნავი ძეგლი. ომის ღვაწლის, ათინა პალადასა და ჭალმურთის ქანდაკებათა გვერდით მაღალ კვარცხლბეკზე დგას ნატიფად მორქურთმებული ბაზისები. ყველა ეს ძეგლი ერთი დროისაა. ათინა პალადა, რომლის ასლი ხელოვნების მუზეუმშია გამოფენილი, აღმოჩენილია პერგამის გათხრების დროს და ადრე ანტიკური ხანით თარიღდება. დაახლოებით ამავე პერიოდს განეკუთვნება სოფელ საირხეში აღმოჩენილი ბაზისები, რომლებიც არქიტექტორ ლევკას ახრით, დროული ორდერის შენობის სვეტისთავებს წარმოადგენენ. მკვლევარი სვეტისთავების პროპორციებზე დაკრძობით აღადგენს საკულტო ტაძრის ფასადს და მის ზომებს. ტაძრის სიგრძე დაახლოებით 18 მეტრი უნდა ყოფილიყო, სიმაღლე მიწიდან ფრონტონის წვერამდე 7 მეტრი.

აღნიშნული შენობის ფრაგმენტებს სოფელ საირხეში მიაკვლია არქეოლოგმა ნ. ლამბაძემ. მანვე აქ აღმოაჩინა ფალოსის კულტოან დაკავშირებული საგნები. უფრო ადრე, 1951 წელს აკად. კუფტინს გადასცეს საირხეში შემთხვევით აღმოჩენილი ლომის თავის სკულპტურული გამოსახულება. ბაზისები, ისე როგორც ლომის თავი, გამოქანდაკებულია თეთრი მარმარილოს მსგავსი კირქვისაგან. დამუშავების სტილი და ქვაზე კვეთის მანერა, აღნიშნულ საგნებზე, ერთი და იგი-

ვეა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ზემოთ აღნიშნული საგნები ერთმანეთთან არის დაკავშირებული, პირველი, როგორც შენობის არქიტექტურული დეტალი, ხოლო მეორე როგორც ამ შენობის სამკაული. ამრიგად, საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში საძიებელია ანტიკური ხანის საკულტო ტაძარი. მისი არსებობა შესაძლებელი იყო ამა თუ იმ კუთხის სავაჭრო, კულტურულ და რელიგიურ ცენტრში.

სოფლის სიძველეთა შესწავლის მიზნით 1959-60 წლებში საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა აკად. შ. ი. ამირანაშვილის ხელმძღვანელობით მოაწყო არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციის წევრებმა, რომლებიც ძირითადად დასვერიები სამუშაოებს აწარმოებენ, ჯერჯერობით ვერ მიაკვლიეს ტაძრის ადგილსამყოფელს, მაგრამ სოფელ საირხეში აღმოჩენილი იქნა წინა ანტიკური ხანის მეტად ღირსშესანიშნავი ძეგლები, ე. წ. ვეშაბისის გორასა და საბადურის ბორცვზე. ეს ძეგლები ძირითადად წარმოადგენენ გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნამოსახლარებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ამ ხანის ნამოსახლარები ნაკლებად ან სრულიად არ არის შესწავლული. მათ შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლხური კულტურის განვითარების საფუძვრების დადგენის საქმეში, ყოზაქურის, აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართული კულტურების ურთიერთობის საკითხის გასარკვევად. დამოძღვროს საირხეში მიკვლეული გვიან ბრინჯაოსა და რკინის ხანის კულტურების


შესწავლა ხელს შეუწყობს ამავე სოფლის ანტიკური ხანის ძეგლების გამოვლენას. მათი არსებობა სოფელ საირხეში საეჭვო არ არის. აქ, ზემოთ ჩამოთვლილი სფოზის ფრაგმენტების გარდა, მიკვლეულია ანტიკური ხანის მდიდრული საბარბო და ამავე ხანის შესანიშნავი კერამიკული ნაწარმი. ვეშაპიძისა და საბადურის გორების ზედა ფენებში მცირე რაოდენობით გვხვდება თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც, რომლებიც ადრე ანტიკური ხანით შეიძლება დათარიღდეს.

საირხეში ვეშაპიძის დროს ჩვენი ყურადღება მიექცია სიტყვა „საბადურს“. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ძველი ნამოსახლარები თავისებური მიმართებით სახეობით არის მონათლული: ნაცარგორა, გუდაბერტყია, საბადურა, დისაგუბება, (რაც მეგრულად დამწვარი მიწას ნიშნავს და სხვ). როდესაც ბორცვის ზედაპირზე და მის ჩამონგრეულ ციხაბო ქარაფებზე კერამიკის უამრავი ფრაგმენტი შევაცროვეთ, დაერწმუნდით, რომ იგი მართლაც წარმოადგენდა წინაქრისტიანული ხანის მატერიალური კულტურის შემცველ საბადოს (აქ სხვა საბადოს არსებობა გამოირიცხება). ასევე მრავლად ვყარა კერამიკის ფრაგმენტები ვეშაპიძის გორაზე შეწყვეტიან ჩამონგრეულ ფერდობზე გაეკვლით სადაზვერო თორილი და წაგაწყვდიოთ მძლავრ კულტურულ ფენას, სადაც აღმოჩენილი იქნა სამეთუნეო ხელოსნობის კარგი ნიმუშები, მატერიალური და მხატვრული კულტურის დღისშესანიშნავი ძეგლები.

უნდა აღინიშნოს, რომ ვეივილის ზედა წელი, კერძოდ კი საჩხერის რაიონი ჩანს უძველეს ეპოქაში დასახლებული. აკადემიკოსებმა ე. თაყაიშვილმა, ბ. კუჭინმა, ისტორიულ მუზეუმებთან და მუტატორმა ო. ჯაფარიძემ და არქეოლოგმა დ. ჭორიძემ ამ საზღვრის არქეოლოგიურ ძეგლებს საკმაოდ სერიოზული ნაშრომები მიუძღვნეს. მათ შრომებში ძირითადად განხილულია ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურა, კუჭინისა და ჭორიძის გამოკვლევებში მცირე ადგილი აქვს დათმობილი შემთხვევით აღმოჩენილ მომდევნო ხანის ძეგლებს. ამრიგად საირხეში მიკვლეული ნამოსახლარების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ კუთხის ისტორიული წარსლის აღსადგენად. აქ აღმოჩენილი მატერიალური და მხატვრული კულტურის ნაშთები ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლად გვეკვლიება ადრეული, შუა ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის კულტურებს შორის. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია კერამიკული მასალა.

საბადურისა და ვეშაპიძის გორებზე აღმოჩენილი ჭურჭელი გენტიკურად დაკავშირებულია ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის სამეთუნეო ხელოვნების ნაწარმთან. ისინი აქ უმოთგერხას ფრაგმენტების სახით გვხვდება, უმეტეს შემთხვევებით შემკული არის გეომეტრიული ორნამენტით, ხასიათდება განვითარების რამოდენიმე ფაზით და წარმოადგენს ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებულ გარკვეული სტილის თიხის ჭურჭელს.

თავისი არქაულობით ყურადღებას იქცევს კარგად განვლული ლევა ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებსაც ყურათმსგავსი შვერვლები აქვს, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ზოომორფული ყურები დამახასიათებელია კლდური კერამიკისათვის. მსგავსი მოვლენები შეიმჩნევა ხე-



ზოომორფული ჭოთის ყურა

თური კერამიკის მხატვრულ ჭურჭლებზე. წარმომავლის მხრივ ისინი. დაკავშირებულია იტალიის ტრამალენების და მცირე აზიის ბრინჯაოსა და რკინის ხანის კულტურებთან.

ერთი ფრაგმენტი ჩვენი კოლექციიდან მთლიანად ემთხვევა აკად. კუჭინის მიერ გამოქვეყნებულ ზოომორფულ ჭოთის ყურს, რომელსაც ბოლოწარველილი რქის მსგავსი შვერვლები აქვს. პროფ. კუჭინის აზრით, ასეთი ყურები გვიან ბრინჯაოს ხანის სამეთუნეო ხელოვნების ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს.


არქეოლოგიური ძეგლის ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენისას კერამიკულ მასალას დიდი როლი ენიჭება. რამდენიმე ასეული ფრაგმენტის ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ საირხეში მიკვლეული ძეგლი ჩვენ წელთაღრიცხვამდე XII—VI საუკუნეებს უკავშირდება. ამ ხანის საირხული კერამიკა ახლო კავშირშია როგორც აღმოსავლურ ქართულ, ისე კოლხური კულტურის სამეთუნეო ხელოსნობის ნაწარმთან და თითქმის ერთგვარ შუამავლის როლს ასრულებს ამ ორ თანადროულ კულტურებს შორის. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფრაგმენტები, რომლებიც განსაკუთრებულ მსგავსებას პოულობენ ნაოხვამოს, დისაგუბებას, დაბლაგომის, რაჭის, ცხინვალის, ნაცარგორის, უფლისციხის, მტებით და მთავალეთის სამარხებში აღმოჩენილ მასალებთან.

ვევლა იმ ფრაგმენტის განხილვა, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, შორს წაგვიყვანს. ყურადღებას შევამჩნებთ ერთ მეტად თავისებურ ჭურჭელზე, რომლის მსგავსი ჯერჯერობით არსად არ არის აღმოჩენილი. ვეშაპიძის გორაზე, მიწის ზედაპირიდან ერთი მეტრის სიღრმეში ნაპოვნი იყო ჯამისებური ჭურჭლის ფრაგმენტი, რომლის ფსკერზე რქისებური წამონაზარდებია მიძერწილი. საფიქრებელია, რომ ფსკერზე მიძერწილი გამოსახულება სიმბოლური მნიშვნელობისა და ჭურჭელი საკულტო დანიშნულების საგანს წარმოადგენს. ანტიკურ ხანაში ლითონის ჭურჭლების ფსკერზე სკულპტურული გამოსახულებები იყო მიჩნეული, მცხეთაში, გვიანი ხანის სამარხებში აღმოჩენილი ერთ ვერცხლის პინაკზე მიჩნეულია ქალის ბუხესტი. ქალს თიხის ხეობის ხანში უჭირავს. ყანჩიანი ქალის გამოსახულება ანტიკურ სამყაროში ფორტუნა ქალმშობლის აღმნიშვნელი იყო. ეს ფაქტი ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივ, რომ ჭურჭლის ფსკერზე გამოსახული ქანდაკება რელიგიური შიტივითა ნაკარნახევს და იგი ღვთაება.

საირხეში აღმოჩენილი ჭურჭლის ფსკერზე მიძერწილი ამონაზარდი თავისი ფორმით და, შესაძლოა, შინაარსითაც ძალზე ახლოს დგას ე.წ. რქოვან სამსხვერპლებთან, რომელიც მცირე აზიაში აღშარის ბორცვზეა მოპოვებული. ეს სამსხვერპლოები უნაგარს მოვგავიწყებს და თითქმის იმეო-

საკულტო დანიშნული ჭურჭელი





ქუტლის ფრანკონტი

ცხოველის გამოსახულება

რებს ვეშაპიძის გორაზე აღმოჩენილი ქუტლის ფსკერზე მიძერწული ამონაზარდს.

პროფ. კუტტინი იგივერი აღმოჩენილ კერისის სადგარის განხილვის დროს პარალელს ავლებდა კუნძულ კიპროსზე აღმოჩენილ ვაზეზე გამოსახულ რქოვან საყურთხველებთან და ვარაუდს გამოიტყვამდა, რომ ამ სადგარზე ეგვიპტის საწყაროში შესაძლოა სიმბოლიზებული იყო ქალღმერთის კერპი ზეაქველი ხელისუფლებით.

მგავსი საგანი შენგავითშია აღმოჩენილი. მის ცენტრში ქალის ანტრომორფული ფიგურაა მიძერწილი: ეს გარემოება ორ რამეზე მიუთითებს: ამ სადგართა კავშირზე ქალღმერთის განუმარტავების გზით. ასეთი მოსაზრება განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება იმის გამო, რომ ქალღმერთის კულტი ვეშაპიძის გორაზე სხვა მხრივაც არის დადასტურებული.

აქ აღმოჩნდა დედრობითი სქესის გამოსახულება. ქანდაკება მტკად სქემატურია, ხელები განაწე აქვს გაშლილი. ქვედატანი ცილინდრული ფორმისაა. განსაკუთრებით ზანჯასმულია გულმკერდის არე. ძუძუები ორი ბირთვის სახით არის გადმოყვებული. ძუძუს თავები მიძერწილი აქვს მოშაო ფერის თიხისაგან.

ქალის ქანდაკებები საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის მოპოვებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთში, კოდორის ციხის მახლობლად აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკება. მას გულმკერდის არე განსაკუთრებით აქვს გამოყვანილი, იდაყვიში მობრლი მკლავები განაწე გაშლილი ხელისუფლებით ზეცისკენ აღუკურია. ამ ქანდაკების მისტიკური პოზა იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ნაყოფიერების ქალღმერთის კერპთან.

ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული ქალის ქანდაკება აღმოჩენილია ცხინვალის ნაცარგორაზეც.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურაში, ისე, როგორც ეგვიპტის სამყაროში, ქალღმერთის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული. ტრუაში აღმოჩენილი ერთ ქანდაკებას, რომელსაც სუსტად გამოსახული ნაკეთები და წაგრძელებული კისერი აქვს, სასქესო ორგანოსთან ჯვარი აქვს. პროფ. ლიბტინერის აზრით, ჯვარი ადრეულ ხანაში ადამიანის აღმნიშვნელი სიმბოლოა. ორდესაც იგი სასქესო ორგანოსთან

არის აღბეჭდილი, ეს იმის მომასწავლებელია, რომ საქმე გვაქვს ნაყოფიერების ქალღმერთთან.

ღვთაებათა სხვადასხვაგვარად გამოსახვაში არა უნდა ხილვნი გავრცელებულ რელიგიურ აზრსა და მსატკურულ ფორმებს ვერძნობა. მიუხედავად ამისა, მახლობელი აღმოსავლეთის ღვთაებებს ბევრი რამ აქვს საერთო ერთმანეთთან და მიუთითებენ ძველ კულტურულ კავშირზე, რომელიც ადრევე არსებობდა ამორეკავასიის, მცირეაზიის და მესოპოტამიის კულტურებს შორის.

გვიანდელ ხანაში ქალღმერთის გამოსახულებები მრავლდება და იცვლება. ამიტომ, მათი გამოყოფა ერთმანეთისაგან ხდება სხვადასხვა ატრიბუტებით. საირხეში აღმოჩენილ ქანდაკების რელიგიური ატრიბუტად უნდა მივიჩნიოთ გულმკერდის არის ზედიზედწერილი გამოკვეთა, რაც გავფიქრებინებს, რომ იგი მდღედრობითი სქესის ნაყოფიერების კერპს უნდა წარმოადგენდეს.

საირხეში აღმოჩენილი საკულტო დანიშნულების საგნების შესწავლა შესაძლებელს ხდის ვივარაუდოთ, რომ ვეშაპიძის გორა, გვიან ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, წარმოადგენს საკულტო დანიშნულების ძველს.

ასეთი ვარაუდის შესამარტებლად განვიხილოთ ლითონისა და თიხის ქანდაკებებს, რომლებიც საკულტო დანიშნულებით ხანი არიან და ვეშაპიძის გორიდან მომდინარეობდნენ. ეს ქანდაკებები უკრადდება იპყრობენ, როგორც მხატვრული კულტურის თვალყვის ნაშთები.

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა ცხოველის (იჩმის?) ქანდაკება. ერთ მათგანს, რომელიც თიხისაგან არის გამოძერწილი და კარგად არის გამოშვარი, თავი და სამი ფეხი მოტეხილი აქვს. ფეხები ტანთან შედარებით სქემატურად არის გამოყვანილი ქანდაკების ბეჭებზე და თქმობე გამოსახულია რომისბურ თოხსუთხედში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრები. ჯვარი წინა ქრისტიანული ხანის მრავალ საკულტო ნივთზე გვხვდება, როგორც რელიგიური ნიშანი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა არქეოლოგ რუკინის მიერ აფხაზეთში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ნაჯახები. ერთი მათგანის ღვთაზე გამოსახულია თექვსმეტი ტოლმკლავა ჯვარი, ხოლო მეორეზე თოხსმეტ ჯვარს შორის პუნქტირებით შესვებული არე სხვატყვის გამოსატავს. გარდა ამისა, ნაჯახზე გრაკირებულია შუის დაკომბი, ფრინველისა და ცხოველის გამოსახულებები. ამდაგვარი სუვეტები ნაჯახების გაფორმება რელიგიური მოტივით არის ნაკარნახევი. ამ ნაჯახებს, შესაძლებლობა, პირობითად ვუწოდოთ „წმინდა ნაჯახები“. პროფ. ლიბტინერის აზრით ეგვიპტის სამყაროში და ევროპაში გავრცელებული ორმაგი ნაჯახები (სეკური) დიდი კაცის ხელში ერთგვარ სიპატრას წარმოადგენდა და ძალაუფლების სიმბოლოს გამომხატველი იყო. სავარაუდებელია, რომ წმინდა ნაჯახები მოქმედებდა იყო რელიგიური დღესასწაულის დროს და სწორედ მათი საშუალებით ხდებოდა რომელიმე კერპისადმი მსხვერპლად შეწირული ცხოველის მოკვდინება. ჯვრისა და სხატყვის გამოსახულებას ვხვდებით გვიან ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ქურტლებზეც. ერთ შემთხვევაში ჯვარი გამოსახულია სამხრეთ სეთში თლის სამაროვანზე აღმოჩენილ ბრინჯაოს სარტყელზე. ასეთი მავიერ-ამოტრიახული ნიშნებით რამე ნივთის შემცობა მიუთითებს მის რელიგი-

ურ დანიშნულებაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ვარკველი რელიგიური აზრის კანონით არის ამოცვეთილ ამ თუ იმ საგანზე. შესაძლოა, ეს საგნები რიტუალის დროს ერთად მოქმედებდნენ და ურთიერთ კონტრაქტში იმყოფებოდნენ. ამრიგად საინხეში აღმოჩენილ ქანდაკება უნდა მივიჩნიოთ სარიტუალო საგნად (კერპაქ!).

თიხის ქანდაკებების გარდა, ვეშაპიდის გორაზე აღმოჩენილია ბრინჯის მცირე ქანდაკებები ბრინჯაოსი. ფიგურები ცხოველს გამოსახავენ მდგომარე პოზოში. ისტატო ცილობოს ხალხი გაუზავს ირმისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, ამიტომ რქები შედარებით კარგად არის გამოყვანილი. ფიგურა ნელ მოძრაობდა ვადმოცემული, ცხოველს თავი მაღლა აქვს აწეული. მიუხედავად იმისა, რომ ქანდაკებები სქემატურია, მთლიანობაში ისინი შესანიშნავად წარმოგვიდგენენ ბრინჯის ქანდაკებებს ზურგზე მიჩრილი აქვს საკიდები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ რიგის ქანდაკებები საკულტო დანიშნულების მატარებელია და მათ გულზე იკადმდნენ.

მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ვეშაპიდის გორაზე აღმოჩენილი შვილდსაკინძი, იგი დაფარულია კეთილშობილი პატრით და ძალზე კარგად არის შემონახული. შუა მორკალური ნაწილი გაყოფილია რვა ამოღარული ხაზით, ხაზებს შორის ამოზრცული არე გრავირებულია, ნატყფად შესრულებული გლუვი ქველებით. შვილდსაკინძის ის ნაწილი, რომელიც ზამბარის და შესაკვების მოვალეობას ასრულებს, გლუვ ზედაპირიანია და გველის გამოსკენილ კუდს მოგვაგონებს. საერთოდ შვილდსაკინძი გველის ამ გველთოყრას იმიტაცის წარმოადგენს. ამაზე განსაკუთრებით მიუთითებს შუა, ოდნავ ვაგვირული აბრტული ტანი, რომელიც ცელთან და კუდთან ვიწროვდება და წრიული ხაზებით იკრება. ის ნაწილი, რომელიც თავისა და შესაკვების მოვალეობას ასრულებს, გამბრტყლებულია. გლუვ ბრტყელ ზედაპირზე გრავირებულია თევზის გამოსახულება. განსაკუთრებით კარგად არის გამოსახული თევზის კუდი და შუა ტანი. თვალები და თავი აღნიშნული არ არის. თევზი მოხრილი პოზოში არის გადმოცემული მისთვის დამახასიათებელი ხსარტი მოძრაობით, როგორც ცნობილია, შვილდსაკინძები იხმარებოდა შალის უხეში ტანსაცმლის შესაკინძავად. საგარაუდებელია მათი საკულტო დანიშნულება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ის შვილდსაკინძები, რომლებიც შემკულია ცხოველის სკულპტურული ამ გრავირული გამოსახულებით. სამხრეთ ოსეთში, სობათში აღმოჩენილი შვილდსაკინძის მოხარული ტანზე მიჩრილია ცხვრის თავის გამოსახულება, ყობაში აღმოჩენილი ახეთივე საგანს ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულება ამშვენებს. მგავს საგნებზე რამე არსების გრავირების წესით გამოსახვა ნაკლებად ან სრულიად არ არის ცნობილი. ამ შემთხვევაში გამოსახვის წარმოდგენს საჩხერის რაიონში აღმოჩენილი ერთი შვილდსაკინძი, რომელზედაც ცხრაფეხა მწერია გამოხატული, რაც შეეხება თევზის გამოსახულებას, იგი დამახასიათებელია კოლხური კულტურის მთელი რიგი საგნებისათვის. აფხაზეთში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ერთ ცელზე


ყუბა და სატარე ხვრელის გასწვრივ გრავირებული თევზი. ნახაბის ორსვე ორსვე ლოყაზე გამოსახულია სხვა ფანტაზიური ცხოველები. ნახაბი საკულტო დანიშნულებებისაა. ზე თევზის გამოსახვა რელიგიური მოტივითაა ნაკარნახევი.

იხილავს რა ერთ ბოლოწაკეითი მავისონ თევზის კუდად გამოსახულებით, პროფ. გ. ნიორაძე დასძენს, რომ აქ უმშველად მაგიურ საკულტო მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე და არა რეალისტური სიუჟეტის დამახინჯებულ სიმბოლიზაციასთან. მაგიური საკულტო მნიშვნელობით აკეთებდნენ ძველი ეგვიპტელები კეის სატკერის ბოლოს თევზის კუდის მგავსად. მაგიურ მნიშვნელობას აძლევდნენ თევზს ბევრი სხვა პრიმიტიული ხალხები. ციმბირის შამანები თავიანთ ტანსაცმელს ამკობდნენ თევზის ქვეშის ყბის გამოსახულებით. ასეთი მნიშვნელობით აკეთებდნენ წინა აზიელები თევზების გამოსახულებებს ზაფხულზე.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები, შესაძლოა, გამოადგეს იმის დასამტკიცებლად, რომ ვეშაპიდის გორაზე აღმოჩენილ შვილდსაკინძზე გამოსახული თევზი მაგიური რელიგიური მნიშვნელობით არის გამოხატული.

შვილდსაკინძების გავრცელების არე ძალზე დიდია. ზოგიერთი მეცნიერის აზრით ისინი წარმოიშვნენ ხმელთაშუაზღვის აუზში და აქედან გავრცელდა მთელ რივ ქვეყნებში. პროფ. კუფტინი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ შვილდსაკინძებს ბერძნული წარმოშობის ასიმბოლირებულ კოლხურ ნივთად თვლიდა. თვითელმა ეპოქამ შვილდსაკინძების თავისებური ტექნიკური სრულყოფა და მონაარსი სხვადასხვა კინძია დამახასიათებელი. ამ მიზეზით ზოგიერთი მეცნიერი მათ ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თარიღების დადგენის საქმეში, საქართველოში აღმოჩენილი არქაული შვილდსაკინძები გვიანი ბრინჯაოს ხანის პროტოქტის წარმოდგენს და ისინი შრ-12 საუკუნეზე ადრინდელი ხანის არ უნდა იყოს. ჩვენს მიერ განხილული შვილდსაკინძის შედარებითა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ იგი ჩვენ წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის პირველ საუკუნეებს განეკუთვნება.

ზემოთ განხილული მხატვრული კულტურის ნამუშების გარდა, საირხეში მოგვლად არის მოპოვებული ტანსაცმელთან, მიწადმოქმედებასთან, მეცხოველეობასთან და მტკაღრეასთან დაკავშირებული ნივთები. მათი უმრავლესობა გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ხანას განეკუთვნება. ექვს გარეშე, რომ ამ სოფელში ჩატარებული შემდგომი არქეოლოგიური კვლევებიდან ღირსშესანიშნავ მასალებს მოგვეცეს წინა კლესტიანული ხანის საქართველოს ისტორიის შესასწავლად და საირხე საპატიო ადგილს დაატერს.



ქალის ქანდაკება და ბრინჯაოს შვილდსაკინძი თევზის გამოსახულებით



სადაც შეინიშნებოდა სხვადასხვა სამეურნეო ფორმა დაწყებული ჯერ კიდევ გვაროვნულ-თემური წყობილებით (მე-მორჩენილი თემური მიწები (სვანეთი, ხევსურეთი, ზემო აჭარა) და დამთავრებული კოლექტივიზებული სოფლით (კახეთი) კულტურულ-სამეურნეო პირობების ეს მრავალფეროვნება ბევრ დამატებით სიძნელეს წარმოშობდა რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული რეკონსტრუქციის ამოცანების გადაჭრისას. საქართველოში რევოლუციის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად იქცა ჩამორჩენილ რაიონებში საუკუნეებით დამკვიდრებული ცრურწმენების აფეთქება, აღმოფხვრა. ამ მტკიცე-ნული და უმნიშვნელოვანესი საკითხის გადასაჭრელად მოწოდებული იყო ხელოვნება.

ქართულ კინემატოგრაფიაში ამ პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებულია დებიუტი სამი ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორისა — მიხეილ გელოვანის, დავით რონდელის და სიკო დოლიძისა.

1928 წელს ჩვენი რესპუბლიკის ეკრანებზე გამოვიდა ახალგაზრდა ავტორების — რეჟისორ მიხეილ გელოვანისა და სცენარისტ გიორგი მდიანის პირველი ფილმი „ახალგაზრდობა იმარჯვებს“. იმ წლებში სურათის სათაური სიმბოლურად ეღერდა — იგი თითქოს საკინძმრევლის კინემატოგრაფისტთა ახალგაზრდა თაობის პირველ გამარჯვებასაც მოასწავებდა. ფილმის მოქმედება იმდებოდა აჭარაში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების რამდენიმე წლის შემდეგაც კი მკვეთრად საგრძნობი იყო გვაროვნულ-თემური წყობილებით დამკვიდრებული ველური ზნე-ჩვეულებანი, ფესვადგამული ცრურწმენანი.

ახალგაზრდა კინოხელოვანთა ეს ნაშუშეგარი ინტერესი იწვევდა ორიგინალური დრამატურული და რეჟისორული ხერხებით, რომლითაც ნაწვევები იყო მოიელთა ყველაზე მკაცრი კანონის — სისხლის ალების სიველურე და უმთავრესად.

...ამტკვერებელ გზაზე ერთი სოფლიდან მეორეში გარბოდნენ ცელქი ბიჭუნები ერთმა ონავარმა მოწულ ღობეზე შემოხვდარ თეთრ წიწილას კენჭი ესროლა და ფეხი მოსტება. უხოს პატრონმა ყურები დაუწითლა თავხედს. აღრიალებულმა ბიჭმა თავის სოფელს მიაშურა ჩივილით. შვილის ღრიალით დაფეთებულმა დედამ ანგარიშმოუცემლად შეკივილა — „შვილი მომიკლეს“ და სანამ ბავშვი სახლამდე მიიარებდა, თოფის სროლა ატყდა ორ ოჯახს შორის. ასე მოკლეს კაცი. ასე დაიწყო სისხლის ალების ეს ისტორია ერთი ფეხმოტეხილი წიწილის გამო, საინტერესოა, რომ ფილმის პირველსავე ნაწილში მინდარესთან გამართული ბატალური სცენის ამსახველი კადრები დამონტაჟებულია დარბაისლურად მოსვირზე კოჭლი ქათმის სურათებთან ერთად. ამრიგად ნაწარმოების დასაწყისშივე მკველითა კარგავს დრამატულ ხასიათს. იგი დაკვივითებულია, მხილველია მონატეის გომდამური ხერხით. ასევე იჩინების სამიზნედ არის ქვეული ფილმში მუდმივი შიშითა და ძქროლით შეპყრობილი ოჯახის ყოფა.

მაგრამ თუ ავტორებმა შესძლეს დრომოჭმული „რაინდული“ კანონების ასახვად დაცინვის საინტერესო ხერხების მიგნება, სამაგიეროდ ბევრად უფრო ძნელი ამოიჩნდა ფილმის პოზიტიური მომენტებისათვის კინემატოგრაფიული ფორმების

ქ ა რ თ უ ლ ი
კ ი ნ ე მ ა ტ ო გ რ ა ფ ი ა
კულტურული
რეკონსტრუქციისათვის
ბრძოლაში
(1925—1935 წ. წ.)

კორა წერეთელი



კულტურული რევოლუციის თემას წამყვანი ადგილი უკავია 20-იანი წლების მთვრელ ნახევრის ქართული კინემატოგრაფიის რეპერტუარში. ამ მებრძოლი, აქტუალური პრობლემის წარმოშობა კინოში შემთხვევითი არ არის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები, სოციალური და ეკონომიური თვალსაზრისით, ხასიათდებოდა განსხვავებული სამეურნეო ფორმებით, მოსახლეობის კულტურული დონის სიჭრელით. განვითარებული მრეწველობისა და მაღალი კულტურის ქალაქებთან (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) ერთად, არსებობდა ვრცელი რაიონები,



მოსინჯვა. არაღამაჯერებულად არის შესრულებული მოსისხ-
ლეთა შერიგება კომკავშირის უკრედში. სურათში ქალის
(აიშე) ცენტრალური სახე დარჩენილია ძირითადი მოქმედების
გარეშე. იგი მელოდრამების ტრადიციული შტამებებითაა შე-
რულებული. ეს კი არღვევს კომედიის ქსოვილს, მთლიანობას
სურათებს მას. ახალგაზრდა რეჟისორის პროფესიონალურმა
მოუწონებლობამ თავი იჩინა ცერანის ქუმმარტი სახედ ვერ-
ტკაევი ფილმის პერსონაჟთა სიმრავლეშიც, გრძელი სამონ-
ტაჟო ფრაზებისადმი გაუმართლებელ მიმალბებაშიც.

მაგრამ ზოგიერთ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ფილმის
უდაო ღირსებაა გაბედული კომედიური კინემატოგრაფიული გა-
დაწყვეტა თემისა, რომელიც აქამდე ქართულ ხელოვნებასა და
ლიტერატურაში მხოლოდ ტრაგედიასა და მელოდრამატულ
ვანრში ვღერდებ. მასში ძვირფასია მამხილებელი ტენდენციის
მიმართული იმ გაზონების, ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ, რომ-
ლებიც ხელს უშლიდნენ ახალგაზრდა საბჭოთა საზოგადოების
განვითარებას.

ამავე თემას მიუძღვნა თავისი პირველი კინემატოგრაფიუ-
ლი ნამუშევარი ახალგაზრდა რეჟისორმა დავით რონდელმა
(1930). ბევრი რამ საერთო იყო მ. გელოვანისა და დ. რონ-
დელის პირველ რეჟისორულ ნამუშევრებში: კარგად ათვისდ-
ბულ ეროვნულ მასალაზე თემის აგების ტენდენცია, მოქმედე-
ბის ფსიქოლოგიურად და ყოფითად შეფერვისადმი ინტერესი.

ფილმ „უკუზიარას“ (სოფლად ექიმთაშობის წინააღმდეგ
ბრძოლაზე), ცენტრშია საინტერესოდ გადაღებული ეპიზოდი
ჯირითისა, სადაც კომკავშირლები ექიმამ ჯოტოსა და მის
ვაჟს ეკვიბრებან. ჯირითის მსხვილი და საერთო პლანები, გა-
ხელებული შეიჯირით ანთებულ გულშემატკივართა სახეები,
ცხენის ფეხები დანაწევრებული მონარბა, მაყურებელთა რე-
აქციის ცაგველი დეტალები, დინამიური მონტაჟი — ყოვე-
ლივე ამას ეს ეპიზოდი მაღალი ემოციური ელვრადობის დო-
ნემდე აქავეს.

ძველი ზნე-ჩვეულებებისა და ახალი ცხოვრების წესების
შეჯახებათა საინტერესო ეპიზოდების ფონზე, რომელსაც გას-
დევს ნაწარმოების სატირიკული ნაკადი, წარმოებს ჯოტოს —
ფილმის ცენტრალური ხასიათის — აუნქარებელი ფსიქოლო-
გიური დამუშავება. ეს არის ძლიერი, გამჭრიახი ადამიანი,
რომელიც სისხლ-ხორცეულადაა დაკავშირებული მეფისდრო-
ინდელ უმეკარ სოფელთან. ფილმში მკვეთრად არის გამოკვე-
თილი ჯოტოს ხასიათის განვითარება — მისი ბრძოლა ჩვეუ-
ლი, ძველი ცხოვრების წყობისათვის, საკუთარ სიმაართეში
დაქვეება, სურათის ფინალის განუსრელი ფსიქოლოგიური მო-
ტივირება — ჯოტო თვითონვე აგზავნის დატრედი შვილს სა-
ავადმყოფოში.

კიდევ უფრო მძაფრად და აქტიურად იყო დასმული გვა-
როვნულ-თემური წყობილების გადმონაშთებთან ბრძოლის
პრობლემა რეჟისორ სიკო დოლიძის ფილმში „ზვავთა სამე-
ფოში“ (1931). სურათი შექმნილი იყო მთის ფშავის მასალა-
ზე იგი მოვითხოვდა საკუთრების მანძილზე მაღალი კლდე-
ებით ცხოვრებისაგან მოწყვეტილ ხალხზე, ბრძოლა ამ ხალხის
გამოზიზზულებისათვის, მისი ახალ ყოფასთან ზიარებისათვის,
ბრძოლა ქუჩურად და უხუცესთა წინააღმდეგ — თუნდაც ზე-
ლონების საშუალებებით — მხატვრისა და მთელი გადამღები

ჯგუფის ქუმმარტიად დიდ გამბედაობას მოითხოვდა. საკმარის-
ია აღინიშნოს, რომ ფილმის დასაწყისში ერთ-ერთი რეჟისორის
შემსრულებლის პორტრეტს გაკეთებული აქვს წარწერა: „მისი
კლეს კინოექსპედიციამო მონაწილეობისათვის“.

ს. დოლიძემ შემოქმედებითი გზა დაიწყო როგორც რეგი-
სორ-ფინორტაფი. მის პირველ კინონაწარმოებებში მკვეთრად
ვლინდება მხატვრის ინტერესი მთის ტომების ყოფისადმი
(შემდგომ ნამუშევარში — „უკანასკნელი ჯვაროსნები“ დახა-
ტულია ხეცურთა ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების პირველ
წლებში). და თუმცა რეჟისორი დაწერილობით იკვლევს ხალ-
ხის ყოფას, ზნე-ჩვეულებებს, იგი თავის დაკვირვებებს არასო-
დეს აქცევდა ფორმალური სტილიზაციის საშუალებებად. ს.
დოლიძე შორსაა უმიზნო ყოფითადმწერლობისაგან.

მისი აზრი მოვედრის სიღრმეში იტრება. ყოფის ზედმი-
წვებით აღწერით იგი გვიჩვენებს ბუნების ძალებისა და სო-
ციალური პირობების შედეგად განსაკუთრებულ მდგომარეობა-
ში მყოფი ხალხის შეგნებში მომხდარ გარდატეხებს.

ფილმში არის ასეთი ეპიზოდი: მშობიარე ქალს, მწყემსის
ცოლს, იმისათვის, რომ ოჯახის კერა არ წაიბლიწა, დედამთი-
ლი ბოსელში ადევნს (ფშავში იყო ასეთი ჩვეულება). დამთი
ყინვა იძალბებს. დედამთილი შემწურუნებულია, კართან ბოლთს
სცემს. მაყურებელი დარწმუნებულია, რომ მას ბოსელში დარ-
ჩენილი მომკვდარი რძლის ბუდი აწუხებს. დედამთილი ძლიერ
ჩამოხსნის კარს მძიმე ურდულს, ქარ-ბუქში ბოსელს მიაშუ-
რებს... და სახლში შემოჰყავს ძროხა.

ასე იხსნება ფილმში სისასტიკე კანონისა, რომელიც პი-
რეტებს ადამიანის სიცოცხლეზე მაღლა აყენებდა. სურათში
ფშაველთა ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები, პირველყოფისა,
ინტერესს იწვევენ უტყუარობით, დოკუმენტური ფონით, მკვეთ-
რი გამომსახველობით, რაც განსაკუთრებული ძალით ვლინდ-
ება იახსარის ქალამ საადღვომო წესის შესრულების ეპიზოდ-

კალრი ფილმთან „უკუზიარას“





კადრი ფილმისა და „ახალგაზრდობა იმარჯვებს“

ში. ქათქათა, ფეხშეუდგამ თოვლზე მკვეთრად გამოიყოფა შავი ტანსაცმელი გარინდული მლოცველთა, რომლებიც თითოეულ ქველანაო. და აი, ამ გარინდების ფონზე ნაჩვენებია ზვარაკად შესაწირი ცხვრების სასოწარკველი ძრწოლა, თითქოს ჩაგვემისო ამ მსხვერპლთა ყელზე შებმული ვერცხლის ვენების ქლარული.

სუსტი აღმონდა ფილმში ველზე ჩამოსახლებულ ფშაველთა ახალი ცხოვრების ამსახველი კადრები. მათში უფრო მტკია სურვილი, ვიდრე სინამდვილე.

ასეთივე ტენდენცია შეინიშნება რეჟისორ ლეო ესაკიას ფილმში „ხოლტეზე“ (1928), რომელიც მიძღვნილია სოფლად კოლექტივიზაციისა და კულაკური განწყობილებების წინააღმდეგ ბრძოლას. ავტორი მიზნად ისახავდა დაენახებინა ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ათვისების აუცილებლობა, ურომლოდაც წარმოუდგენელი იყო კოლექტივიზებული სოფლის განვითარება. ასეთი ამოცანა საკმაოდ სერიოზულია ახალგაზრდა დებიუტანტისათვის, რომელიც კინემატოგრაფში კომპაგნიის მოწოდებით მოვიდა, მითუმეტეს, რომ ეს ფილმი პირველი ცდაა საქართველოში ხელოვნების ერთი გამომხატველობა სოციალისტური სოფლის საკუთრებრივ საკითხებს.

ფილმში მხოლოდ ერთი მსახიობი მონაწილეობდა. დანარჩენ პერსონაჟებს ანსახიერებდნენ მებრანელი გლეხები. სურათში მოქმედება იმდენივე დოკუმენტურ ფონზე, პავლიონებისა და დეკორაციების გარეშე, ამაშიც გამოვლინდა ახალგაზრდა ავტორის ხარკის მოხდა „არგათამაშებელი“ კინოსადმი, რომელმაც საქართველოში ძივა ვერტოვის ფილმებითა და მანიფესტებით შემოაღწია. შესაძლოა ფილმის „ხოლტეზე“ სიუჟეტი ახლა გულუბრყვილოდა და სწორსაზოგადოებრივად მოგვეჩვენოს. მაგრამ მაშინ—20-იანი წლების დასასრულს ამ პროპაგანდისტულ სურათს დიდი წარმატება ზედა. მის ფარ-

თოდ განიხილავდნენ ქალაქისა და სოფლის კომპაგნიურულ უკრებდში. ხოლო როცა 1930 წელს წინააღმდეგობა შექმნა კ. ლორთქიფანიძის საკოლმეურნეო სოფლისმშენებლის დღეობა ნარკვევების კრებული, იგი ილუსტრირებული იყო ამ ფილმის კადრებით.

